ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ჭანიშვილი

იმიგრაცია როგორც კონფლიქტის პოტენციური საფრთხე საქართველოში

კონფლიქტოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მსოფლიოში მიმდიანრე კონფლიქტებმა, ფინანსურმა თუ სოციალურმა კრიზისებმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა მიგრაციული პროცესები. მიგრაცია ქვეყანაში გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოში მიმდინარე იმიგრაციულ პროცესებს და განიხილავს მას როგორც კონფლიქტის პოტენციურ საფრთხეს.

ნაშრომში განხილულია საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ. ასევე დეტალურადაა განხილული საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, იმიგრანტების პროფილი, მიგრაციის როლი კონფლიქტების დინამიკის ჩამოყალიბებაში, კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტორები, საზოგადოების დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულებების გამომწვევი ფაქტორები.

დღესდღეობით, გლობალიზაციის ეპოქაში, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ეთნიკური და სოციალური კონფლიქტის გაღვივებას, განსაკუთრებით კი შავი ზღვის რეგიონში მზარდი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ანკეტირებული გამოკითხვა და სიღრმისებული ინტერვიუები საქართველოს მოქალაქეების განწყობებისა, დამოკიდებულებების და გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

Annotation

Immigration as a potential threat of conflict in Georgia

Chanishvili M.

Migration processes have become a gained more importance amid global conflicts, financial and social crises. Migration affects socio-economic and political events in every country.

The presented master's thesis deals with the ongoing immigration processes in Georgia and discusses whether it can considered as a potential threat of conflict.

The paper discusses the attitude and perceptions of the population of Georgia towards immigrants. The current migration processes in Georgia, the profile of immigrants, the role of migration in shaping the dynamics of conflicts, factors provoking the conflict, society's attitude and the factors defining these attitudes are also discussed in detail.

Nowadays, in the modern era of globalization, it is important to determine what factors contribute to the intensification of ethnic and social conflict, especially in light of the growing geopolitical challenges in the Black Sea region.

A questionnaire survey and in-depth interviews were conducted as part of the research for gathering statistical information about the attributes, attitudes, or actions of Georgian population.

Keywords: immigration, immigrants, social conflict, attitudes, perceptions;

სარჩევი

ანოტაცია 1

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგია 6

მიგრაცია და განმაპირობებელი ფაქტორები 7

მიგრაციის პროცესები საქართველოში 15

საქართველოში მცხოვრები იმიგრანტების პროფილი 16

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორები 20

მიგრაციის როლი კონფლიქტების დინამიკის ჩამოყალიბებაში 22

ანალიზი 28

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა 44

დანართი 49

კითხვარი 49

ცხრილები და დიაგრამები 51

შესავალი

დემოგრაფიულ პროცესებში მიგრაციას განსაკუთრებული ადგილი აქვს. მიგრაციის მაჩვენებელი ქვეყანაში გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებსა და ცვლილებებზე.

მიგრაცია - ადამიანთა გადაადგილება ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე - ყველა დროისთვის დამახასიათებელი ფენომენია, თუმცა ამ გადაადგილების განმაპირობებელი ფაქტორები განსხვავებულია. ურბანიზაცია თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი პროცესია. საქართველოშიც უამრავი ადამიანი გადადის დედაქალაქში ან თუნდაც სხვა ქალაქში საცხორვებლად. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში უნივერსტეტები და ეკონომიკური აქტივობები ძირითადად თავმოყრილია თბილისში, აქ ხდება შიდა მიგრაცია (ვაგნერი ვ., 2017).

დღესდღეობით, არსებული შერეული მიგრაციული ნაკადების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები გავლენას ახდენს მიგრანტებზე მთელ მსოფლიოში. მიგრანტთა ჯგუფები მოიცავს ლტოლვილებს, ეკონომიკურ და შრომითი მიგრანტებს.

მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში. მიგრაციისადმი საზოგადოების დამოკიდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პარამეტრს პოლიტიკოსებისა და მთავრობებისთვის, როდესაც ისინი ცდილობენ რეაგირება მოახდინონ ამ გამოწვევებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს მიგრაციისადმი კონკრეტული დამოკიდებულებების წარმოქმნას. ამ დამოკიდებულებების უკან, ხშირად დგას „ეკონომიკური კონკურენციის“, „კულტურული საფრთხის“, „სოციალური კონფლიქტის წარმოშობის“ კონცეფციები.

2017-2020 წლების მსოფლიო ღირებულებების კვლევის (WVS) მიხედვით, რომელიც ჩატარდა 49 ქვეყანაში, ქვეყნების უმეტესობაში, მოქალაქეები უფრო მეტად ეთანხმებოდნენ, რომ იმიგრაცია იწვევს სოციალურ კონფლიქტს (Haerpfer, et al., 2022).

ჯგუფურ კონფლიქტს ადგილი შეიძლება ჰქონდეს მრავალ სხვადასხვა ტიპის ჯგუფს შორის - ეთნიკურ, რელიგიურ, კლასობრივ, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმულია „ჩვენ“ და“ისინი“ და ამ ორი ჯგუფის დაპირისპირება. ამიტომ, როდესაც იმიგრაციის შედეგად საზოგადოებაში ახალი ჯგუფი შემოდის, ჩნდება კონფლიქტის გამოწვევის პოტენციალი.

ზემოხსენებული „ეკონომიკური კონკურენცია“ მოიაზრებს იმას, რომ ინდივიდები ეწინააღმდეგებიან იმიგრაციას ეგოცენტრული მიზეზების გამო, ხოლო „კულტურული საფრთხე“ გულისხმობს, რომ უპირველეს ყოვლისა, მნიშნელოვანია „ძირძველი“ უმრავლესობის კულტურული ნორმების შენარჩუნება.

კონსერვატორულმა საზოგადოებებმა არაერთხელ აჩვენეს, რომ ისინი უფრო ეწინააღმდეგებიან იმიგრაციას, რადგან კონსერვატიზმის უპირველესი საზრუნავი არის სოციალური წესრიგის შენარჩუნება და ყოველგვარი რისკის თავიდან აცილება, მაშინ როცა ლიბერალები იმიგრაციას უფრო მეტად თვლიან ერთგვარ შესაძლებლობად თანასწორობის მიღწევისა ან/და თავისუფლებისთვის. **საზოგადოებებში უფრო დიდმა ეთნიკურმა დაყოფა-განაწილებამ, შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტი** (James & Geddes, 2021). ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს საგარეო გავლენა ან ზეწოლა, მასების და ელიტების მიერ მართული ძალადობა, შიდა ჯგუფური უსაფრთხოების დილემა, ეთნიკური გადაშენების შიში და სხვა (ოხანაშვილი, 2018).

ეთნიკურ კონფლიქტს ყველაზე ხშირად მომავლის კოლექტიური შიში იწვევს. მომავლის კოლექტიური შიში ჩნდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოები კარგავენ ჯგუფებს შორის ლავირებისა და ურთიერთობების მოგვარების უნარს ან ვერ უზრუნველყოფენ ჯგუფების დაცვის სანდო გარანტიებს (Lake & Rothchild, 1996).

თუმცა, ის პირები, რომლებიც ეკონომიკურ სარგებელს იღებენ იმიგრაციით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ მას და პირიქით, ისინი, ვისი კულტურაც უმრავლესობის ჯგუფის კულტურისგან განსხვავებულია (მათ შორის ემიგრანტები და მათი შთამომავლები), შეიძლება იმიგრაციას მხარს უჭერდნენ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი **მიზანია** დადგინდეს საზოგადოების, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეების, განწყობა და დამოკიდებულებები საქართველოში იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით. მნიშნელოვანია დადგინდეს, ამ განწყობა-დამოკიდებულებების შედეგად, წარმოიქმნება თუ არა კონფქლიტის გაღვივების შიში და შეიძლება თუ არა მიგრაცია იყოს კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტორი.

ამისათვის შევიმუშავე საკვლევი ინსტრუმენტი, რომელიც სპეციფიკური ცვლადების გაზომვით, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რამდენად აქვთ საქართველოს მოქალაქეებს მიმღებლობა იმიგრანტების მიმართ და რა ფაქტორები განაპირობებენ მათ დამოკიდებულაბას.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- საქართველოს მოქალაქეებისთვის კითხვარის შექმნა, რომელიც იძლევა იმიგრაციის მიმართ **განწყობებისა** და ინფორმირებულობის კვლევის საშუალებას;
- დაგვედგინა, რამდენად ხშირად აქვთ კონტაქტი საქართველოს მოქალაქეებს იმიგრანტებთან და როგორ აფასებენ ისინი ამ პირად გამოცდილებას;
- საზოგადოების დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების **განმაპირობებელი ფაქტორების** და იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმაპირობებელი მიზეზების დადგენა;
- იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებული კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეების შესწავლა.

კვლევის ჰიპოთეზა

საქართველოში [კონკრეტული] იმიგრანტების შემოდინება საქართველოს მოქალაქეებს უქმნის დისკომფორტს და წარმოადგენს კონფლიქტის გაღვივების საფუძველს.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები (შერეული). კვლევის ძირითადი მნიშნელოვანი საკითხების შესწავლისათვის რაოდენობრივი კვლევის მეთოდის შერჩევა განაპირობა საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციისა და მონაცემების მოგროვების საჭროებამ. კვლევისთვის გამოვიყენე არაალბათური შერჩევა, კერძოდ სტიქიური გამოკითხვა, რისთვისაც გამოვიყენე სპეციალურად შედგენილი კითხვარი. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა Google Forms-ის კითხვარის საშუალებით, რომელიც გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით.

კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა საქართველოს მოსახლეობა. კვლევაში მონაწილე 157 რესპონდენტიდან გამოვიყენეთ ყველა რესპონდენტის მონაცემი. საკვლევი პერიოდი მოიცავდა 1 თვეს - 2023 წლის მაისს. მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა მონაცემებთა დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კომპიუტერული პროგრამა SPSS.

რაც შეეხება თვისებრივ ნაწილს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა ადამიანმა, რომლებსაც ჩავუტარე სიღრმისეული ინტერვიუ; რესპონდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, რათა მათი მოსაზრებები გაგვეგო საკვლევ საკითხთან მიმართებაში. ამ ადამიანებს ჰქონდათ პირისპირი გამოცდილება იმიგრანტებთან და მათ განსაკუთრებულად მიაჩნდათ, რომ იმიგრანტების შემოსვლა საქართველოში წარმოადგენდა პრობლემას და კონფლიქტის გაღვივების საფრთხეს ქმნიდა.

მიგრაცია და განმაპირობებელი ფაქტორები

მიგრაცია არის საერთაშორისო საზღვარზე ან ქვენის შიგნით გადაადგილების პროცესი და გულისმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, ხანგრძლივობის, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზების მიუხედავად (ტუშური, 2021).

გაერო საერთაშორისო მიგრანტს განსაზღვრავს, როგორც პირს, რომელიც არ იმყოფება წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში, სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში. მიგრაციის ტიპოლოგიისთვის იყენებენ შემდეგ ინდიკატორებს: ხანგრძლივობა, მიზანი, რაოდენობა, ისტორიული ხასიათი, სამართლებრივი სტატუსი და სხვა.

ადამიანები საცხოვრებელ ადგილს სხვადასხვა მიზეზების გამო და მიგრაციის ტიპები მოიცავს:

-შიდა მიგრაცია არის გადაადგილება სახელმწიფოს, ქვეყნის ან კონტინენტის შიგნით;
-გარე მიგრაცია - სხვა სახელმწიფოში, ქვეყანაში ან კონტინენტზე გადასვლა;
-ემიგრაცია - ერთი ქვეყნის დატოვება მეორეში გადასასვლელად;
-იმიგრაცია - ახალ ქვეყანაში გადასვლა მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად;
-სეზონური მიგრაცია: გადაადგილება ყოველ სეზონზე შრომითი ან კლიმატური პირობების საპასუხოდ.

არსებობს გადაადგილებისთვის ბიძგის მიმცემი და მიმზდიველი ფაქტორები. ბიძგის მიმცემი ფაქტორები მოიცავს ადგილის დატოვებას არსებული პრობლემის გამო, როგორიცაა მაგალითად საკვების დეფიციტი, ომი ან წყალდიდობა. მიმზიდველი/მიზიდვის ფაქტორები მოიცავს კონკრეტულ ადგილზე გადასვლას რაიმე სასარგებლო ფაქტორის გამო, როგორიცაა უკეთესი კლიმატი, ძლიერი ეკონომიკა, სამუშაო შესაძლებლობები, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო, ტოლერანტული და მიმღებლური კულტურა.

2010-იანი წლების სირიელი ლტოლვილების კრიზისის დროს ბევრი სირიელი გერმანიისკენ გაემართა. გერმანიის შიგნით არსებულმა სოციალურმა პოლიტიკამ ქვეყანას მრავალი ლტოლვილის მიღების საშუალება მისცა, თუმცა, ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყანა არც ისე ღიად ხვდებოდა ლტოლვილებს. გერმანიის ძლიერი ეკონომიკა, სამუშაო ადგილების შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა განათლებასა და სოციალურ სერვისებზე - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც მიმზიდველს ხდის მას ლტოლვილებისთვის (UNHCR Cyprus, 2021).

იძულებითი ბიძგის მიმცემი ფაქტორის მაგალითია ომი უკრაინაში. მილიონობით უკრაინელი ემიგრაციაში წავიდა ომის დაწყებისთანავე - 2022 წლის თებერვალში. დაახლოებით იგივე რაოდენობის ადამიანი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო ქვეყნის შიგნით (OCHA, 2023).

ადამიანისთვის, რომელიც ტოვებს წარმოშობის ქვეყანას, შესაძლოა ემიგრაციის მიზეზი იყოს ღირსეული სამუშაო ადგილის ნაკლებობა, უმუშევრობის მაღალი დონე და ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას.

სტენფორდის უნივერსიტეტის საიმიგრაციო ლაბორატორიის მიერ სუბსაჰარული აფრიკის რეგიონული მიგრანტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მიგრანტების უმრავლესობა უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის გადაადგილდებოდა, კრიზისის ან სხვა კონფლიქტის გამო იძულებით გადაადგილებული პირებისგან განსხვავებით. საშუალოდ, სუბსაჰარული აფრიკის მოქალაქე, რომელიც მუშაობს ევროპაში არაკვალიფიციურ სამუშაოზე, დაახლოებით სამჯერ მეტს გამოიმუშაოს, ვიდრე აფრიკაში. შესაბამისად, მათთვის წარმოშობის ქვეყნებში საცხოვრებელი და ყოველდღიური ხარჯების დაფარვა ადგილობრივი ანაზღაურებით, არც ისე მომგებიანია (The Economist, 2021).

სოციალური ბიძგის მიმცემი ფაქტორები გაცილებით რთული აღსაქმელია. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს კულტურული ან გამომდინარეობდეს ოჯახიდან და შეიძლება არ იყოს უშუალოდ ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული. ეს ფაქტორები მოიცავს რელიგიურ ჩაგვრას, შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების ქონასთან ერთად, რადგან ინდივიდები იბადებიან დაბალი სოციალური კასტის სისტემაში, რომელიც ზღუდავს სოციალურ მობილობას, მაგალითად, ინდოეთში ან პაკისტანში. შესაბამისად, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის სხვა ფორმებთან ერთად, შეიძლება სახეზე იყოს სოციალური ფაქტორები, რომლებიც ადამიანებს კონკრეტული ადგილის დატოვების სურვილს უჩენს.

ინდუსტრიული ეპოქის დაწყებიდან, სოფლიდან ქალაქში მიგრაცია გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. მიგრაცია არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდაზე და მოსახლეობის სივრცულ მოდელებზე. ამ კონკრეტულმა

მიგრაციამ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაცია გამოიწვია და დღესდღეობით უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს ქალაქებში, ვიდრე ოდესმე. ქალაქები გადაიქცნენ ინდუსტრიის, ვაჭრობის, განათლებისა და გართობის ცენტრებად. განვითარებად ქვეყნებში, მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში მიგრაციის უფრო მაღალი მაჩვენებლებია უფრო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით (Selod & Shilpi, 2021).

ჯუბამ, სამხრეთ სუდანის დედაქალაქმა, რომელიც მდებარეობს მდინარე ნილოსის გასწვრივ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში განიცადა მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ეკონომიკური განვითარება. ქალაქ ჯუბაში უამრავი ადამიანი ჩამოდიოდა საცხოვრებლად მიმდებარე სოფლებიდან. 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრანტების ჩამოსვლის ძირითად მიმზიდველ ფაქტორებს წარმოადგენენ ჯუბას მიერ შემოთავაზებული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები. მიწათმფლობელებს, მიმდებარე სოფლებში, კლიმატის ცვლილების გავლენის გამო, პრობლემები ჰქონდათ სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაზე (Babi Moses, 2017).

როგორც აღვნიშნე, მიგრაცია არის შიდა ან გარე, ასევე ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი/იძულებითი. მიგრანტები, მათ შორის ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), არიან ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობენ თავიანთ რეგიონში ან ქვეყანაში. დღესდღეობით, ადამიანების მიგრაციის მიზეზები მოიცავს კონფლიქტისგან ან გარემოს დეგრადაციისგან გამოწვეული პრობლემებისგან ან ადამიანის უფლებების სხვა დარღვევებისგან გაქცევას.

ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი იძულებულია დატოვოს თავისი სახლი და ქვეყანა კონფლიქტის, ომის, შიმშილის, სიღარიბისა და გარემოს დეგრადაციის გამო. UNHCR-ის შეფასებით, მსოფლიოში, 2022 წლის მონაცემებით, იძულებითი გადაადგილებულ პირთა რიცხვი 103 მილიონს აღწევს. ამ ადამიანთა უმრავლესობა სირიიდან, ვენესუელადან, უკრაინიდან, ავღანეთიდან და სამხრეთ სუდანიდან არიან. ამავე მონაცემებით, ამ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობა რჩება თურქეთში, კოლუმბიაში, გერმანიასა და პაკისტანში (UNHCR, 2022).

იძულებითი მიგრაცია გამოწვევაა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მოწოდება ევროკავშირის ქვეყნებისა და მოქალაქეებისადმი, მიიღონ უცნობი ადამიანები, შეიძლება იწვევდეს რეალურ გაურკვევლობას იმის თაობაზე, მოუტანთ თუ არა ეს უცხო ადამიანთა ჯგუფი მათ საფრთხეს და ზიანს.

2015 წლის აგვისტოში აილან ქურდის გარდაცვალებამ, ხმელთაშა ზღვით ჩამოსული ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობა მოიტანა. თუმცა ეს კეთილგანწყობა შემცირდა პარიზსა და ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების გამო. უსაფრთხოების გაძლიერებული შიშები გამწვავდა ნიცას ტერაქტის, ვურცბურგში ნაჯახით თავდასხმის, ანსბახის აფეთქების, როიტლინგენის მკვლელობის და მამა ჟაკ ჰამელის მკვლელობის შემდეგ.

სამწუხაროდ, ლტოლვილებისა და მიგრანტების საზოგადოების აღქმა ხშირად ძალიან ნეგატიურია. მასპინძელი ქვეყნების მოსახლეობა შიშობს, რომ მათი მოსახლეობა გადაიტვირთება. თუმცა, სინამდვილეში, სწორედ ეს ახალჩამოსულები აწყდებიან უდიდეს საფრთხეებს და რისკებს უსაფრთხოებისა და დაცვის ძიების პროცესში.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შემოდინება საფრთხეს უქმნის ღირებულებებს, მათ შორის ქრისტიანობზე დაფუძნებულ ღირებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ ევროპული კულტურისა და პოლიტიკის საყრდენს, ეს ყოველივე კი შეიძლება იწვევდეს **სოციალურ კონფლიქტს** (Quinn, 2016).

სოციალური კონფლიქტები წარმოადგენენ დაპირისპირებას პიროვნებებს, სოციალურ ჯგუფებსა თუ ინსტიტუტებს შორის. ასეთი კონფლიქტები განსხვავებულები არიან მასშტაბებით, ტიპებით, მიზეზებითა, შედეგებით და ხასიათდებიან სოციალური საზოგადოების, კოლექტივებისა და ინდივიდების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებისა და ინტერესების გაძლიერებით (ბერიძე, 2009).

სოციალური კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია მიგრანტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორების ამოცნობა. ამ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია *მიგრანტების საფრთხედ აღქმა,*

რაც აძლიერებს შიშს, რომ იმიგრანტები ნეგატიურ გავლენას მოახდენენ მოსახლეობის ცხოვრების წესზე.

ამ შიშს სოციოლოგები ხსნიან „ჯგუფური საფრთხის თეორიით“. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც გარე ჯგუფი შემოდის ქვეყანაში (ამ შემთხვევაში, მიგრანტები), შიდა ჯგუფი (მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობა) მიდრეკილია აღიქვას ისინი, როგორც „საფრთხე“ მათი რესურსებისთვის, რომლებიც მათ კონკურენციას გაუწევენ. კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას მატერიალურ (მაგ., საცხოვრებლის ან შრომითი ბაზრის საკითხებზე), ასევე არამატერიალურ საკითხებზე (მაგ. რელიგიურ, რასობრივ, ენის საკითხებზე) (Schlueter & Scheepers, 2010).

ამავეს ამყარებს „ინტეგრირებული საფრთხის თეორია“, რაც ხსნის ამ საფრთხეების განცდას. ცრურწმენები (prejudice) და ნეგატიური დამოკიდებულება იმიგრანტებისა და ზოგადად, გარე ჯგუფების მიმართ აიხსნება კონკრეტული ტიპის საფრთხეებით, მათ შორის კი რეალისტური საფრთხე, სიმბოლური საფრთხე, უარყოფითი სტერეოტიპები და ჯგუფთაშორისი შფოთვა (Croucher, 2017).

ჩამოთვლილთაგან დეტალურად განვიხილავთ შემდეგს: რეალისტურ საფრთხეს, რომელსაც აქვს ეკონომიკური და უსაფრთხოების განზომილება და სიმბოლურ საფრთხს, რომელიც ეხება ეროვნულ იდენტობას, ღირებულებებს და კულტურულ დაპირისპირებებს (Vala, Pereira, & Ramos, 2006).

რეალისტური საფრთხე, რომელიც ეხება ნეგატიურ განწყობებს იმიგრანტების მიმართ, გულისხმობს, რომ მასპინძელი ქვეყნების მოქალაქეები იმიგრანტებს აღიქვამენ ეკონომიკურ საფრთხედ და ფინანსურ ტვირთად, ასევე, საფრთხედ ფიზიკური უსაფრთხოებისთვის.

ადგილობრივ დონეზე დასაქმებული მოსახლეობა შიშობს, რომ მიგრანტების მასიური ჩამოსვლა საფრთხეს შეუქმნის მათ სამუშაო ადგილებსა და ხელფასს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობა შიშობს, რომ მიგრანტების მიერ მიღებული სოციალური სარგებელი და დახმარება, მათ [მოსახლეობას] დააზარალებს.

მეორე ასპექტი არის უსაფრთხოება. უსაფრთხოების განზომილება მნიშვნელოვანია, როდესაც ვსაუბრობთ მიგრანტთა მიმართ თანამედროვეობაში გაბატონებულ ნეგატიურ დამოკიდებულებებზე. ISIS-მ და ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, საგრძნობლად გაზარდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების შიში და უნდობლობა. 2015 წლის ნოემბრის პარიზის ტერაქტების შემდეგ, შიში და უნდობლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან თავდასხმების ერთ-ერთი დამნაშავე ევროპაში ლტოლვილის სტატუსით შევიდა. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებმა შეცვალა გლობალური უსაფრთხოების ლანდშაფტი და საზოგადოების დამოკიდებულებები (Guenichi, Chouaibi, & Khalfaoui, 2022).

დამოკიდებულება არის არის ერთგვარი განსჯა, რომელიც ასახავს ადამიანთა რეაქციას კონკრეტულ ფენომენზე და გავლენას ახდენს ჩვენი ცნობიერების როგორც ემოციურ, ასევე კოგნიტურ ასპექტებზე. ისინი ასევე, სხვადასხვა ხარისხით, წარმოადგენენ მოქმედებების საფუძველს (Blom, 2010).

როდესაც ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება საკუთარ ფიზიკურ უსაფრთხოებასა თუ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს შორის, ძირითადად უსაფრთხოების დაცვა იმარჯვებს (Lahav & Courtemanche, 2012).

სიმბოლური საფრთხე გულისხმობს საფრთხეს ეროვნული იდენტობის, კულტურისა და ღირებულებებისთვის. იმიგრაციასთან დაკავშირებული „სიმბოლური საფრთხის“ მაგალითს ცხადყოფს საფრანგეთში, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული 2017 წლის გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ფრანგების 72% მიიჩნევს, რომ იმიგრაცია საფრთხეს უქმნის მათ ცხოვრების წესს. იგივე კვლევის მიხედვით, ფრანგების 48%-ს სჯერა „დიდი ჩანაცვლების“ თეორიის. ეს შეთქმულების თეორია, რომელიც რენო კამიუმ შეიმუშავა 2011 წელს თავის წიგნში „Grand Replacement“, ამტკიცებს, რომ იმიგრაცია არის ერთი ცივილიზაციის მეორე ცივილიზაციის ჩანაცვლების პოლიტიკური პროექტი, რომელიც განზრახ არის ორგანიზებული პოლიტიკური, ინტელექტუალური და მედია ელიტების მიერ (IFOP, 2017).

სიმბოლური საფრთხე ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს რასასთან. ეთნიკურმა წარმომავლობამ და რასამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპაში იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. გოროძეისკისა და სემიონოვის 2009 წლის კვლევის დასკვნები ცხადყოფს, რომ ევროპაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმიგრანტების ჩართულობაზე გავლენას ახდენს იმიგრანტების ეთნიკური წარმომავლობა (Gorodzeisky & Semyonov, 2009). ამ კვლევის დასკვნები აჩვენებს, რომ ნეგატიური დამოკიდებულება იმიგრანტების (განურჩევლად რასისა/ეთნიკური წარმომავლობის) მიმართ ყალიბდებოდა არა მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზე კონკურენციის შიშის და საზოგადოების კულტურული ჰომოგენურობის დარღვევის საფრთხის გამო, არამედ ასევე იმიგრანტების რასის გამო (Gorodzeisky & Semyonov, 2016).

საზოგადოების დამოკიდებულებას იმიგრაციის მიმართ შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკოსებზე. მრავალი ფაქტორი განაპირობებს ხალხის დამოკიდებულებას იმიგრაციის მიმართ, თუმცა, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავდება კონტექსტუალური ფაქტორების და მიგრანტების მახასიათებლების მიხედვით.

მაგალითად, IOM-ის 2015 წლის კვლევის მიხედვით, ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ადამიანები უფრო პოზიტიურად არიან განწყობილები იმიგრაციის მიმართ, ვიდრე ევროპელები, ხოლო აღმოსავლეთ ევროპელები უფრო ნეგატიურები არიან ამ საკითხთან მიმართებაში, ვიდრე დასავლეთ ევროპელები. ამ ქვეყნებს შორის განსხვავებების სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მათ შორის ქვეყნის იმიგრაციისა და ემიგრაციის ისტორია, პოლიტიკური კონტექსტი, საიმიგრაციო და ინტეგრაციის პოლიტიკა, იმიგრანტი მოსახლეობის რაოდენობა, მათი განათლება და სამუშაო უნარები (Ceobanu & Escandell, 2010).

ჯგუფთაშორისი შფოთვა და დაძაბულობა გულისხმობს მღლევარებას ჯგუფური გამოცდილებით გარე ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე ჯგუფს ჰქონდა ანტაგონიზმის ისტორია (Croucher, 2017).

ასევე, საიმიგრაციო პოლიტიკაში ქვეყნები ხშირად განასხვავებენ მიგრანტების ტიპებს - მაგალითად, დასავლურ და არადასავლურ მიგრატნებს; საზოგადოების დამოკიდებულება, მაგალითად, უფრო ნეგატიურია იმ იმიგრანტების მიმართ, რომლებიც კულტურულად განსხვავებულები არიან (Bansak, Hainmueller, & Hangartner, 2016).

გარდა ამისა, იმიგრანტები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩადიან მასპინძელ ქვეყანაში (ანუ შრომითი მიგრანტები), უფრო მეტად აწყდებიან საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას, ვიდრე არანებაყოფლობით მიგრანტები (მაგ., ლტოლვილები). ლტოლვილები ხშირად იმსახურებენ თანაგრძნობას და შესაბამისად, დამოკიდებულებაც უფრო დადებითია (Verkuyten, Mepham, & Kros, 2018).

თუმცა, ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს ზოგიერთ პირობებში უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებათ. ადამიანები, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური პრობლემები, უფრო ნეგატიურად არიან განწყობილნი აღმოსავლეთ ევროპელი იმიგრანტების მიმართ, მაშინ როცა ის ადმიანები, რომელთათვისაც ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეები უფრო ნაცნობია, ნეგატიურად რეაგირებენ მუსლიმ იმიგრანტებზე (Hellwig & Sinno, 2017).

მიგრაციის პროცესები საქართველოში

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მოსახლეობა შემცირდა მიგრაციული პროცესების შედეგად და ასევე, ამ ყველაფერს მოჰყვა სიკვდილიანობის და შობადობის მკვეთრი შემცირება. 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობაში სახეზეა დემოგრაფიული დაბერების პროცესი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, გვ. 11).

საქართველოში ემიგრაციის და იმიგრაციის გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020). მასობრივი ემიგრაცია საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ის ერთგვარი გადარჩენის სტრატეგია გახდა

მოსახლეობისთვის, რომელიც აღმოჩნდა ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე (ევროპის განათლების ფონდი, 2021).

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დევნილად დარეგისტრირებულია 277,403 ადამიანი (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018).

ბოლო წლებში საქართველოში გაიზარდა იმიგრაცია. იმიგრანტების რიცხოვნობა 142.9 პროცენტით გაიზარდა და 179 778 ადამიანი შეადგინა. 2022 წელს მოქალაქეობის მიხედვით საქართველოში 62 304 რუსეთის მოქალაქე, 20 716 უკრაინის მოქალაქე, 13 361 ბელარუსიის მოქალაქე, 3 948 ინდოეთს მოქალაქე, 3 946 თურქეთის იმიგრანტი ფიქსირდება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

ბოლო წლებში, საქართველოში ბევრი უცხოელი სტუდენტი ჩამოდის სასწავლებლად მისაღები სწავლის საფასურის და ინგლისურენოვანი პროგრამების არსებობის გამო. ზოგიერთი იმიგრანტი ბიზნესის წარმოებისთვის ჩამოდის ქვეყანაში. მზარდია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაში უცხოელთა მიერ დაფუძნებული კომპანიების მიერ შეტანილი წვლილი, ისევე როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირთა და უცხოელთა მიერ დაფუძნებული სუბიექტების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019, გვ. 10).

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვია ლტოლვილთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფი მოძრაობა საქართველოში და არამარტო, რომლის მოწმეც გახადა ევროპას მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

საქართველოში მცხოვრები იმიგრანტების პროფილი

იმისათვის, რომ გავიგოთ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებები იმიგრანტების მიმართ, საჭიროა გამოვყოთ იმიგრანტების კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე, კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, საქართველოში გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები: შრომითი, სასწავლო, ოჯახის გაერთიანების მიზნით, მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, საქართველოს ყოფილი მოქალაქისთვის, საინვესტიციო, სპეციალური, მუდმივი ცხოვრების, დროებითი, მოკლევადიანი და უვადო ბინადრობის ნებართვები.

IOM-ის 2021 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც ეხებოდა იმიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკას და პრაქტიკას საქართველოში, საქართველო როგორც დანიშნულების ქვეყანა მიმზიდველია თურქეთის, ირანის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში უმეტესწილად ეკონომიკური საქმიანობის (ძირითადად თურქეთისა და ირანის მოქალაქეები) განსახორციელებლად და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების (ძირითადად ინდოეთის მოქალაქეები) მისაღებად ჩამოდიან. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში მომუშავე საწარმოთა 8%-ს უცხო ქვეყნის მოქალაქე ჰყავს დასაქმებული (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021, გვ. 50).

საქართველოსთვის აქტუალურობისა და რაოდენობიდან გამომდინარე, ქვემოთ განვიხილავ უცხოელების ორი ჯგუფის მოკლედ პროფილს: უცხოელ სტუდენტებსა და ლტოლვილებს და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

უცხოელი სტუდენტები

საერთაშორისო დონეზე უცხოელი სტუდენტების რაოდენობა იზრდება და მიმართულებების დივერსიფიკაცია ხდება. ეს სტუდენტები ჩვეულებრივ ფლობენ

არარეზიდენტი ვიზის სტატუსს (ზოგჯერ მას უწოდებენ სტუდენტურ ვიზას) დანიშნულების ქვეყანაში კონკრეტული ხარისხის მისაღებად.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 2017 წლის უცხოელი სტუდენტების შესახებ საქართველოში მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის მიხედვით, საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 90%-ს შეადგენენ აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები. საქართველოში ჩამოსულ სტუდენტებს შორის ყველაზე მეტად პოპულარულია სამედიცინო განათლება და უცხოელი სტუდენტებით ძირითადად სტომატოლოგიას, ფარმაცევტიკას, ჯანდაცვის საბაკალავრო კურსზე არიან ჩარიცხულები. შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობს ბიზნესის, ეკონომიკის და სამართლის ფაკულტეტები (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2021). ყველაზე მეტ უცხოელ სტუდენტს უკვე რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობს. თუმცა, ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა იმ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც აბარებენ საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2017, გვ. 3).

ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

ლტოლვილებს აქვთ სპეციალური სამართლებრივი სტატუსი, რომელიც დაცულია საერთაშორისო ან ეროვნული კანონმდებლობით. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ „ლტოლვილს“ განსაზღვრავს როგორც პირს, რომელიც შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2022 წლის ივნისის მონაცემებით, მსოფლიოში 53 მილიონზე მეტი ადამიანი ამჟამად იძულებით გადაადგილებულია საკუთარ ქვეყნებში - კონფლიქტების, ძალადობისა და ბუნებრივი კატასტროფების

შედეგად. იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) ხშირად ცხოვრობენ გადატვირთულ, ანტისანიტარიულ პირობებში.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, მასპინძელ და/ან ტრანზიტულ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ ხარისხიანი განათლება მიგრანტი ბავშვებისთვის მათი მიგრაციის სტატუსის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე.

ბოლო ათწლეულში, სირიისა და უკრაინის ომთან დაკავშირებულმა ლტოლვილების დიდმა ტალღამ მთელ ევროპაში მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.

IOM-ის 2021 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრები იმიგრანტების ინტეგრაციის პროცესის აღქმას, გამოწვევებსა და საჭიროებებს, საქართველოში მცხოვრები იმიგრანტების დიდი ნაწილი ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან, ასევე ავღანეთიდან და პაკისტანიდან იყვნენ (IOM Georgia, 2021).

2022 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო შეტევა დაიწყო, 7.8 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა გაქცეულიყო მეზობელ ქვეყნებში, ხოლო დამატებით 6,5 მილიონი ადამიანი იძულებით გადაადგილებულიყო უკრაინის შიგნით. მას შემდეგ საქართველოში 160 000-ზე მეტი უკრაინელი შემოვიდა. საქართველო მათთვის როგორც სატრანზიტო, ასევე დანიშნულების ქვეყანაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრისთვის საქართველო იყო ერთ-ერთი შესაძლებელი დანიშნულების ადგილთაგან, ზოგიერთებმა არჩიეს საქართველოში ჩამოსვლა ნაცნობი კულტურის და ენის გამო ან იმის გამო, რომ მათ ჰყავდათ კონტაქტები ან ნათესავები. ზოგიერთი საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად ასახელებდა ბავშვების განათლების შესაძლებლობებს და საცხოვრებელ ნაკლებ ხარჯებს (World Vision Georgia, 2022).

თუმცა, უკრაინელების უმეტესობას უჭირს დასაქმება რიგი მიზეზების გამო, მათ შორის ენობრივი ბარიერის და შესაფერისი სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო. 2022

წლის World Vision-ის ანგარიშის მიხედვით, ზოგადად, უკრაინელები საქართველოში თავს დაცულად გრძნობენ და მათ არ ეშინიათ გარეთ გასვლის და მადლიერებას გამოხატავენ ქართველების მიმართ, ვინც მათ დაეხმარა გაუწია და მხარი დაუჭირა. თუმცა, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ ბევრი რუსის ყოფნა ქვეყანაში მათ უხერხულობას უქმნიდათ.

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორები

გლობალურად, საზოგადოებრივი აზრი გაყოფილია იმ საკითხზე, უნდა გაიზარდოს, შემცირდეს თუ შენარჩუნდეს იმიგრაციის დონე. საშუალოდ მთელ მსოფლიოში 2015 წელს, 34 პროცენტს სურდა, რომ იმიგრაცია შემცირებულიყო. მსოფლიოში, ადამიანები ყველაზე ნეგატიურად არიან განწყობილნი ევროპაში იმიგრაციის მიმართ, უმრავლესობა (52%) ამბობს, რომ იმიგრაციის დონე მათ ქვეყნებში უნდა შემცირდეს. (IOM, 2015).

ზემოხსენებული კვლევის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, საკმაოდ უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ თავიანთ ქვეყნებში იმიგრაციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში, მიგრანტები სამუშაო ძალის საჭირო და მნიშნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, ყველა ქვეყნის მოსახლეობაში მაინც არის გარკვეული შეშფოთება და წუხილი იმის შესახებ, რომ მიგრანტებს შეუძლიათ ადგილობრივებს სამუშაო ადგილები წაართვან. აღსანიშნავია, რომ მიგრანტების აღქმა განსხვავდება განათლების მიხედვითაც, თუმცა აღქმებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს კულტურა და ისტორია.

საქართველოში, მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის განხილვისას, აუცილებლად ვაწყდებით რუსეთის ფედერაციის შესახებ დებატებსა და განხილვებს, რაც გამომდინარეობს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და ისტორიული ფონიდან. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და იძაბებოდა, მიუხედავად ისტორიული თუ რელიგიური კავშირებისა.

2022 წლის თებერვალში, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ერთ-ერთი არგუმენტი და გამართლება ემყარებოდა მის უფლებას, დაეცვა ეთნიკური რუსები დისკრიმინაციისგან

უცხო ქვეყნებში. რუსეთი ცდილობდა ეს არგუმენტი დაეფუძნებინა "დაცვის პასუხისმგებლობის" (R2P) დოქტრინაზე[1] და რომ ის გენოციდის წინააღმდეგ იბრძოდა. რუსეთმა ადრე ეს ტაქტიკა ესტონეთში, ყაზახეთში და საქართველოშიც გამოიყენა (Ashby, 2022).

2008 წელს, რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მისი სამხედრო ოპერაციები საქართველოში გამართლებული იყო „დაცვის პასუხისმგებლობის“ დოქტრინიდან გამომდინარე. მოცემული დოქტრინა ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დაიცვას მოსახლეობა საკუთარ საზღვრებში და მოიცავს ზომებს, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს, რათა დაეხმაროს ამ სახელმწიფოს თავისი მოსახლეობის დაცვაში. საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობაა განახორციელოს ეს ზომები - გაეროს მეშვეობით - როდესაც სახელმწიფო, რომლის საზღვრებშიც ხდება დანაშაული, ვერ იცავს მათ. რეზოლუცია არ ანიჭებს უფლებამოსილებას ცალკეულ ქვეყანას დამოუკიდებლად მიიღოს პირდაპირი ზომები საკუთარი საზღვრების გარეთ მცხოვრები თავისი მოქალაქეების დასაცავად (Global Centre for the Responsibility to Protect, 2008).

ასევე საგულისხმოა, რომ 2006 წელს და 2008 წლის ომის შემდეგაც, ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციას და დეპორტაციას ჰქონდა ადგილი რუსეთის ფედერაციაში (ჩიჩუა, 2019).

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, „საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (52%) დადებითადაა განწყობილი რუსი ხალხის მიმართ, 39%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, 7%-ს კი - უარყოფითი“. უარყოფითი განწყობები სახელმწიფოს მიმართ შეხედულებებიდან გამომდინარეობს (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021, გვ. 6). თუმცა შესაძლოა ამ მონაცემებს სახეცვლილება განეცადათ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ.

[1] სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა დაიცვას თავისი მოსახლეობა გენოციდის, ომის დანაშაულებებისგან, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისგან (2005 წლის მსოფლიო სამიტის შედეგთა დოკუმენტის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის 60/1 რეზოლუცია.)

რაც შეეხება ეკონომიკას, „საზოგადოება და ბანკების“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მეზობელ ქვეყნებზე მოდის საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 50%-ზე მეტი. „არასტაბილური და საფრთხის შემცველია რუსეთის ბაზარი, რომელსაც იგი ხშირად იყენებს პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად“ (საზოგადოება და ბანკები, 2015). ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია 2006 წლის რუსეთის ემბარგო ქართულ პროდუქციაზე.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2023 წლის 21 სექტემბერს, უკრაინის ომისთვის ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, რუსეთის მოქალაქეების ნაწილმა გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება, ომში მონაწილეობის თავიდან აცილების მიზნით (Reuters, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი რიცხვების დადგენა რთულია, Novaya Gazeta Europe-მა 2022 წლის 26 სექტემბერს აღნიშნა, რომ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ 261 000-მა მამაკაცმა დატოვა ქვეყანა (Novaya Gazeta Europe, 2022).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში 112 000 რუსეთის მოქალაქე იმყოფებოდა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022). ხოლო 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის მიხედვით, საქართველოში 62 304 იმიგრანტია რუსეთის ფედერაციიდან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდა, უკრაინაში მიმდინარე ომის წინააღმდეგია და არ ეთანხმება თავისივე ქვეყნის პოლიტიკას, ქართველების უმეტესობა მათ ეჭვის თვალით უყურებს. თბილისში გაზრდილი ბინის ქირის რაოდენობა, რომელიც გამოწვეულია რუსების შემოდინებით, ამძაფრებს სიტუაციას (Reuters, 2023).

მიგრაციის როლი კონფლიქტების დინამიკის ჩამოყალიბებაში

მიგრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს **მშვიდობისა და კონფლიქტების დინამიკის ჩამოყალიბებაში.** მიგრაციის ფენომენი, როგორიცაა გადაადგილების გაჭიანურებული სიტუაციები, დიასპორის ქსელები, მიგრანტების ტრეფიკინგი და

კონტრაბანდა, დაკავება და მიგრანტების გამოძალვა, აღიქმება, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის ნეგატიური გვერდითი მოვლენები, რომლებიც ავტომატურად გაქრება, როგორც კი ძირითადი პრობლემა (კონფლიქტის წარმოშობის ქვეყანაში) დასრულდება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მიგრაციის ფენომენები მართლაც შეიძლება წარმოადგენდნენ კონფლიქტების შედეგებს, მათ შეუძლიათ მოახდინონ გავლენა იმ კონფლიქტურ კონტექსტზე, რომელიც წამოშობის ქვეყანაში წარმოიქმნება. მიგრაციას შეუძლია ნეგატიურად იმოქმედოს კონფლიქტის დინამიკაზე და ინდივიდუალურ და კოლექტიურ მდგრადობაზე, როგორც წარმოშობის ქვეყნებში, ასევე სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნებში (მაგ. გაწყვეტილი სოციალური კავშირები, სამართლებრივი დაუცველობა, ეკონომიკური სისუსტე, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, და ა.შ.). ამ კონტექსტში მიგრაციას შეუძლია პირდაპირ ან ირიბად გაზარდოს ძალადობრივი კონფლიქტის რისკი.

გარდა ამისა, მიგრანტებს შეუძლიათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონიონ მშვიდობისა და კონფლიქტების დინამიკაზე. ისინი შეიძლება, განზრახ თუ უნებლიედ, გახდნენ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების და მამოძრავებელი ფაქტორების ნაწილი, ან ითამაშონ პოზიტიური როლი წარმოშობის, ტრანზიტის ან დანიშნულების ქვეყნებში უფრო მშვიდობიანი გარემოს შექმნაში.

მიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო ხშირი ხდება მიგრანტების, როგორც საფრთხის აღქმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურსში მსოფლიოს ბევრ რეგიონში. სახელმწიფო და სოციალურ უსაფრთხოებაზე აქცენტი სხვადასხვაგვარ უარყოფით გავლენას ახდენს მიგრანტთა ჯგუფის უსაფრთხოებასა და უფლებებზე. შედეგად, ეს იწვევს ვიწრო პერსპექტივის ქონას, ხალხის შეშფოთებას და შიშს.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია არ არის ახალი ფენომენი, პოლიტიკა და მედია სელექციურია და სხვადასხვა წარმომავლობის მიგრანტებს სხვადასხვანაირად იხსენიებენ და შედეგად, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

მიგრაციისადმი მსგავსი მიდგომა აკანონებს და „ამართლებს" ზომების გამოყენებას. მაგალითად, ***ლტოლვილთა დაცვის ექსტერნალიზების სტრატეგიამ*** გამოიწვია ის, რომ

ევროკავშირი უზრუნველყოფს ლტოლვილთა დაცვას მის საზღვრებს გარეთ, მაგრამ იყენებს/იღებს უსაფრთხოების ზომებს, რათა ეს ლტოლვილები არ შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. ამ მიდგომამ გამოიწვია პოლარიზაცია პოლიტიკასა და საზოგადოებაში ევროპაში იმიგრაციის საკითხთან დაკავშირებით.

კონფლიქტზე ფოკუსირება მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, მნიშნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება, რამდენად აქვს მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას მიმღებლობა და სოლიდარობა ამა თუ იმ ჯგუფის მიგრანტთა მიმართ. ასევე *გასათვალისწინებელია კონფლიქტსა და მიგრაციას შორის კავშირი, ისტორიული ფონი, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ურთიერთდაკავშირებულობა, რამაც შეიძლება ერთდროულად იჩინოს თავი სოციალური სივრცის სხვადასხვა დონეზე* (Gutiérrez, 2009).

დღესდღეობით, მიგრანტთა ჯგუფები შესამჩნევ კოლექტიურ აქტორებად გადაიქცნენ თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ არენაზე. მიგრანტთა ჯგუფები პოლიტიზირებულები არიან იმის გამო, რომ ისინი სულ უფრო ხშირად აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს, მათ შორის ეკონომიკურ ჩართულობასა და კულტურულ აღიარებასთან დაკავშირებით (Simon & Grabow, 2010).

ჯგუფთაშორისი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ფაქტორები: ღირებულებათა სხვაობა, ინტერესთა კონფლიქტი, სტერეოტიპები, განსხვავებული ცხოვრების წესი, არარეალისტური მოლოდინები, არაეფექტური და უარყოფითი კომუნიკაციის მოდელები და სხვა.

ზემოხსენებული ფაქტორები ერთმანეთზე ახდენენ ურთიერთქმედებს და გავლენას. საზოგადოების დამოკიდებულებებმა და მიკერძოებულმა აღქმებმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესია და გააღიზიანოს მეორე მხარე.

ზოგადად, იმიგრანტები, რომლებიც იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ თავინთი ქვეყანა, (მაგ., ლტოლვილები) ჩვეულებრივ იმსახურებენ და იღებენ თანაგრძნობას და მხარდაჭერას, მაშინ როცა ის იმიგრანტები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩამოდიან მასპინძელ ქვეყანაში (ყოველგვარი რეალური სირთულისა და საფრთხის გარეშე),

აღიქმებიან ერთგვარ „საფრთხედ“, შესაბამისად, ისინი ხდებიან ბრაზისა და აგრესიული გრძნობის სამიზნე (Augoustinos & Quinn, 2003).

თანაგრძნობის განცდა იმიგრანტების მიმართ გამომდიანრეობს წარმოშობის ქვეყანაში არსებული სირთულეებიდან (მაგ., ომი, ბუნებრივი კატასტროფა). თანაგრძნობის შედეგად, ადამიანებს უჩნდებათ ფსიქოლოგიური მზაობა დასახმარებლად და მხარდაჭერის გამოსახატავად (Weiner, 1995).

იმიგრანტების მიმართ მიმღებლობა და პოზიტიური დამოკიდებულება უფრო სავარაუდოა, როდესაც თავად მათ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი მდგომარეობის გამო და რიგმა მოვლენებმა ისინი აიძულა დაეტოვებინათ ადგილსამყოფელი ქვეყანა. ამის საპირისპიროდ, ისინი, ვინც საკუთარ რთულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელნი თავად არიან ან თავად გადაწყვიტეს ქვეყნის დატოვება, უფრო მეტი რამ მოეთხოვებათ.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ განვითარება და მოდერნიზაცია შეიძლება იყოს ძალადობრივი ქმედებების და კონფლიქტის მაპროვოცირებელი, რადგან იწვევს უამრავ სოციალურ ცვლილებას, მათ შორის იმიგრაციას, ურბანიზაციას, მედიასთან კომუნიკაციის მეტ შესაძლებლობებს. ამ ცვლილებების შედეგად, საზოგადოებს უჩნდება მეტი მოლოდინები და მოახდინოს ზეწოლა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებზე. მოდერნიზაციამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შიგნით არსებული უთანასწორობა (Fawzi, 2022).

კულტურა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ის განსაზღვრავს ინდივიდის ღირებულებებსა, სურვილებს და ფასეულობებს. კულტურას შეუძლია განსაზღვროს, თუ რა ტიპის კონფლიქტი შეიძლება მოხდეს კონკრეტულ საზოგადოებაში და რა ფასეულობა იწვევდეს მას. რელიგია და ენა არის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი, რადგან ისინი წარმოადგენენ ხალხთა იდენტობის, პატივისა და ღირსების შემადგენელ ნაწილს. ენას აქვს სიმბოლური და ინსტრუმენტული ღირებულება, რადგან ის მეტყველებს იმაზე, რომ არსებობს ეთნიკური ჯგუფი, რომელიც საკმარისად ძლიერი და გავლენიანია და შექმნა საკუთარი ენა. რაც

შეეხება რელიგიას, ის არა მხოლოდ ასახავს კოლექტიური იდენტობას, არამედ მოიცავს ერთგვარ სისტემას ცხოვრებისა და კაცობრიობის მომავლის შესახებ (Fawzi, 2022).
არსებობს მრავალი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება ახსნან, თუ რატომ მიმართავენ ეთნიკური ჯგუფები ძალადობას და რატომ წარმოიშობა კონფლიქტი, მათ შორის: აღქმა, წინასწარ შექმნილი არასწორი აზრი, შიში, უსაფრთხოების არქონა, გაღიზიანება და აგრესია (Fawzi, 2022).

აღქმები თამაშობენ მთავარ როლს ჯგუფის უნარის ჩამოყალიბებაში, რომ კარგად გამოიყენონ გარშემო არსებული შესაძლებლობები. თუ ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების არასწორი აღქმა გაიზრდება, გაიზრდება ეთნიკური ჯგუფის იზოლაცია, შედეგად კი, ჯგუფები ერთმანეთს საფრთხედ აღიქვამენ. ომისა და სამხედრო კონფლიქტების მაპროვოცირებელი ფაქტორი დიდწილად კონფლიქტში მონაწილე ორ მხარეს შორის გაუგებრობა და უთანხმოებაა, სხვების განზრახვის არასწორ აღქმას კონფლიქტამდე მივყავართ (Brown, 1995).

მცდარი შეხედულებები და ცრურწმენები ცხოვრებაში ყოველდღიურად ჩნდება ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრის სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის შედეგად. თუ დროთა განმავლობაში ნეგატიური შეგრძნებები და ემოციები დაგროვდება, რომლებიც წარმოიქმნება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებთან ნეგატიური კომუნიკაციის შედეგად, შესაძლოა ჯგუდებს შორის მტრული დამოკიდებულებები გაჩნდეს (Brown, 1995).

ეთნიკური ჯგუფების უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი სახეზეა მაშინ, როდესაც ისინი გრძნობენ, რომ საფრთხე ემუქრება მისი წევრების გადარჩენას, თვითმყოფადობას და ჯგუფას აქვს დაუცველობის გრძნობა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის დარწმუნებული მეორე მხარის განზრახვებში, რაც იწვევს შიშს. ეთნიკურ ჯგუფებში შიში ორგვარია: დომინანტურ კულტურასა და დომინანტურ სახელმწიფოში ასიმილაციის შიში და გადარჩენისა და ფიზიკური უსაფრთხოების შიში (Fawzi, 2022).

იმიგრაციასთან მიმართებაში, მასპინძელი ქვეყნის უარყოფითი დამოკიდებულებები შემოსული ჯგუფის მიმართ არსებითად ემყარება *ჯგუფთაშორისი კონკურენციის* საკითხს.

ანტიემიგრაციული დამოკიდებულებები გამომდინარეობს იქიდან, რომ იმიგრანტები საფრთხეს უქმნიან მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ ინტერესებს. ჯგუფური კონფლიქტის თეორიიდან გამომდინარე, იმიგრაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თავდაცვითი რეაქცია მწირ რესურსებზე კონკურენციის გამო. ამ ტიპის საფრთხე გულისხმობს აღქმას, რომ სოციალურ ჯგუფებს უწევთ ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა მწირი ეკონომიკური სარგებლისთვის, როგორიცაა კარგად ანაზღაურებადი და უსაფრთხო სამუშაოები, საცხოვრებელი პირობები და სახელმწიფო სერვისები (Blumer, 1958).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური სიკეთე მნიშვნელოვანია, ეს არ წარმოადგენს კონფლიქტის წარმოშობის ერთადერთ მიზეზს. აღსანიშნავია კულტურული ან სიმბოლური საფრთხეებიც, რაც მოიაზრებს იმას, რომ სხვადასახვა ჯგუფის წარმომადგენლებს სხვადასხვა კულტურული ტრადიციები აქვთ და ისინი საფრთხეს უქმნიან მასპინძელი ქვეყნის იდენტობას, კულტურას და ტრადიციებს (Stephan, 1998).

არსებობს მოსაზრება, რომ იმიგრანტები განიხილებიან, როგორც საფრთხე მასპინძელი ქვეყნის კულტურისთვის. ამერიკელი პოლიტიკოსი, პუბლოცისტი და თეთრი სახლის კომუნიკაციების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი – პატრიკ ბიუკენენის სიტყვებით: „უკონტროლო იმიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს იმ ერის დეკონსტრუქციისთვის, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და ამერიკას გადააქცევს ადამიანთა კონგლომერატად, რომელთაც თითქმის არაფერი ექნებათ საერთო - არც ისტორია, არც გმირები, არც ენა, არც კულტურა, არც რწმენა და არც წინაპრები.“ (Paxton & Mughan, 2006)

ზემოხსენებული კულტურული საფრთხე ნაწილობრივ წარმოიქმნება იმიტომ, რომ ასიმილაციის პროცესი არ არის ავტომატური. იმიგრანტები, როგორც წესი, გახლეჩილნი არიან თავიანთი სამშობლოს და მასპინძელი ქვეყინს კულტურებს შორის და შესაბამისად საკმაოდ ხშირია კულტურული უპირატესობისთვის კონკურენცია და დაპირისპირება (Paxton & Mughan, 2006).

ანალიზი

მოცემული კვლევის ფარგლებში, შევისწავლე საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულაბა იმიგრანტების მიმართ, რისკები და ამ დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორები.

ძირითადი მიგნებები

- გამოკითხულთა 24.3% არის იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგი საქართველოში. ამ წინააღმდეგობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს *კონფლიქტის გაღვივების შიში.*
- გამოკითხულთა 59.2% ფიქრობს, რომ საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე;
- 65.6% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მხოლო 24.8% თვლის, რომ არ არის ინფორმირებული.;
- საქართველოს მოქალაქეთა 57.3%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით და 75.7% არ არის საქართველოში იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგი;
- გამოკითხულთა 60.5%-ს აქვს და ჰქონია პირისპირი კონტაქტი იმიგრანტებთან (მაგ., სამსახურში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამეზობლოში, სამეგობრო წრეში, ოჯახში).

იმიგრანტების წილის აღქმა საქართველოს მოსახლეობაში

გამოკითხულთა 38.5% მიიჩნევს, რომ *იმიგრანტების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში* 10%-მდეა, ხოლო 22.9% მიიჩნევს, რომ მათი წილი 20%-მდე. მხოლოდ 25.5% მიიჩნევს, რომ იმიგრანტების წილი 5%-ზე ნაკლებია (იხ. ცხრილი 1). რეალურად კი - საქსტატის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით - საქართველოს მოსახლეობის

მხოლოდ 4.8%-ს წარმოადგენენ იმიგრანტები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

56 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს შორის, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იმიგრანტების წილი არის 5 ან 10%-მდე. ახალგაზრდებს უფრო მეტად მიაჩნიათ, რომ იმიგრანტების წილი მოსახლეობასთან მიმართებაში უფრო დიდია, ვიდრე რეალურად. 18-25 წლის რესპონდენტებს შორის, გვხვდება ადამიანები, რომელთა 14%-ს მიაჩნია, რომ იმიგრანტების წილი 20%-ზე მეტია, რაც შეიძლება განათლების ან ინფორმირებულობის ნაკლებობად მივიჩიოთ (იხ. ცხრილი 2).

ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმიგრანტების რაოდენობას, მათთვის იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულება და მათი მიღებისა თუ არმიღების საკითხი მთლიანად დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე. *იმიგრანტის დიდი რაოდენობით მიღება საფრთხეს წარმოადგენს* რესპონდენტების აზრით, რადგან გრძელვადიანად პრობლემებს აწყდებიან ყოველდღიურობაში შემოდინების შედეგად (სურსათისა და ქირის ფასების ზრდა, რიგები, კონკურენცია), განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს იმიგრანტები უფრო მაღალი ეკონომიკური ფენის წარმომადგენლები არიან და მაღალი ხარისხის ცხორვებას არიან მიჩვეულები. ამ საკითხთან მიმართებაში, რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მასპინძელი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობაც გასათვალისწინებელია: საქართველოს მოსახლეობაში შეინიშნება დემოგრაფიული დაბერების პროცესი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). დიდი რაოდენობით იმიგრანტების შემოდინება საფრთხეს შეუქმნის ისეთ ქვეყანას, სადაც დემოგრაფიული პრობლემებია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც მოსახლეობა მცირდება ემიგრაციის ხარჯზე ("საზოგადოება და ბანკები" და ილიაუნის "ფინანსური განათლების ცენტრი", 2019).

„ახლა უნდა გამარტივდეს მოქალაქეობის მიღების წესები და რატომ? ასიმილაცია ასე ხდება ერების, თან მითმეტეს ამ გლობალიზაციის ეპოქაში, ასე იკარგება ქვეყნები. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ შევიფაროთ შემოსული ხალხი,

ჩვენ ჩვენი თავი გაგვჭირვებია. ეს უნდა გააკეთონ დიდმა და ეკონომიკურად ძლიერმა სახელმწიფოებმა. ძალიან ცოტა ვართ ჩვენი მოსახლეობა და მეშინია. არის იმის საფრთხე, რომ იყიდიან საკუთრებას, სახლებს და ვიქნებით, ალბათ, უმცირესობა.“

პრობლემა თუ მეტი შესაძლებლობები

გამოკითხულთა აზრი გაიყო იმასთან დაკავშირებით, *წარმოადგენენ იმიგრანტები და იმიგრაცია პრობლემას თუ მეტ შესაძლებლობას ქვეყნისთვის.* რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტი (56.7%) მიიჩნევს, რომ იმიგრაცია მეტ შესაძლებლობას წარმოადგენს საქართველოსთვის, ხოლო 43.3% თვლის, რომ იმიგრაცია პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისთვის. განმსაზღვრელი ფაქტორი ამ საკითხთან დაკავშირებით არის კონტაქტი იმიგრანტებთან. ამ ცვლადებს შორის კორელაციის კოეფიციენტი არის 0.162 (იხ. ცხრილი 14).

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა რესპონდენტმა (ინტერვიუს ჩატარების დროს) აღნიშნა, რომ იმიგრაცია მეტ შესაძლებლობას წარმაოდგენს მხოლოდ ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მუშახელი - ფიზიკური ან გონებრივი სამუშაოს შემსრულებლები, რომლებიც ასრულებენ ისეთ საქმეს, რაც საზოგადოების საჭიროებისთვის სრულდება, საქართველო კი ასეთი სიტუაციაში არ არის:

„ჩვენი საკმარისი მუშახელი გვყავს და პატარა ქვეყანა ვართ იმისთვის, რომ სხვები ჩამოვიყვანოთ და დავიხმაროთ, ამის საჭიროება არ არის, იმიგრანტები თავსატეხს უფრო წარმოადგენენ“.

რესპონდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იმიგრანტების მიერ მიღებული სარგებელი მასპინძელი ქვეყნის გარემოდან და სისტემიდან ბევრდ მეტია, ვიდრე მათ მიერ შეტანილი წვლილი.

იმიგრანტების იმპერიალისტური დამოკიდებულება

იმპერიალიზმი არის უცხო ქვეყნებზე ძალაუფლების შენარჩუნების ან გავრცელების პრაქტიკა, თეორია ან დამოკიდებულება, განსაკუთრებით ექსპანსიონიზმის გზით, არა მხოლოდ ხისტი ძალის (ეკონომიკური და სამხედრო ძალაუფლების) გამოყენებით, არამედ რბილი ძალის (კულტურული და დიპლომატიური ძალაუფლების) გამოყენებით. იმპერიალიზმი ორიენტირებულია ჰეგემონიის და მეტ-ნაკლებად ფორმალური იმპერიის დამყარებაზე ან შენარჩუნებაზე (Britannica, T. Editors of Encyclopaedia, 2023).

რუსული ნაციონალისტების მიხედვით, რუს ხალხის აქვს განსაკუთრებული, მარადიული კულტურული თვისებები, რაც მათ ფუნდამენტურად განასხვავებს სხვა ხალხებისგან, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ხალხებისგან. დასავლეთი ყოველთვის წარმოადგენდა „უცხოს“ რუსულ ნაციონალიზმთან მიმართებაში. იმპერიული ცნობიერება მოიცავს ტრადიციული სტერეოტიპების რთულ კომპლექსს და ასევე იმპერიულ ამბიციებს. მაგალითად, სუბიექტებზე დაფუძნებულ თვითაღქმას, რომელიც ინარჩუნებს ღირებულებას სტაბილურად და შესაბამისად პატივს სცემს და ეყრდნობა "ბრძენ ცარს/ხელმწიფეს" და "მტკიცე ხელს". საბჭოთა პოპულარული კულტურაც იყო ავტორიტარული ცნობიერების კულტურა. (Kolstø & Blakkisrud, 2016).

ინტერვიუების მიხედვით იკვეთება, რომ რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ დღესდღეობით იმიგრატებს საქართველოში ე.წ. „სასათბურე პირობები“ აქვთ შექმნილი და რომ ასეთი კომფორტული გარემოს შექმნა გრძელვადიან პერსპექტივაში სახიფათოა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საუბარია აგრესორზე, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს. რუსებს და ბელარუსებს საქართველოში ყოფნა და ცხოვრება მოსწონთ და მოსახლეობა რაც უფრო კარგ პირობებს შეუქმნის, უფრო მეტ ხანს მოუნდებათ დარჩენა. ქვეყანაში ერთგვარი „კუნძულის“ შექმნა, სადაც მხოლოდ რუსუალდ ისაუბრებენ, მხოლოდ რუსები ისარგებლებენ სერვისებით და დასახლდებიან, საფრთხეს წარმოადგენს.

„არც არაბების და ირანელების მიმართ ვარ კაგრად განწყობილი (აღმაშენებელზე) მაგრამ განსაკუთრებით თვალში მხვდებიან რუსები, რადგან რუსია ყველაზე დიდი ოკუპანტი და ყველაზე მეტად მტრად რუსს აღვიქვამ.“

რესპონდენტები ასახელებენ, რომ ქვეყანაში შემოსული იმიგრანტები უნდა იყვნენ კანონმორჩილები და პატივს სცემდნენ ქვეყანას, ტრადიციებსა და კულტურას. როდესაც იმიგრანტი იმ ქვეყნიდან შემოდის, რომელიც „დამნაშავეა“ მასპინძელი ქვეყნის წინაშე, მას მეტი პასუხისმგებლობა და თავშეკავებულობა მართებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რუს იმიგრანტებს, სხვა ეროვნების იმიგრანტებისგან განსხვავებით მოლოდინი აქვთ, რომ მათ ენაზე უნდა ესაუბრო და ისინი საქართველოს ერთგვარ „კურორტად“ აღიქვამენ, როგორც საბჭთა კავშირის პერიოდში.

რესპონდენტებისთვის შემაშფოთებელია, რომ დიდ ქალაქები და ცენტრალური ნაწილები იმიგრანტებით (კონკრეტულად კი რუსებით, ბელარუსებით და უკრაინელებით) მეტად გადატვირთულია და იქ უფრო მეტად ისმის რუსული ენა და რუსეთ-საქართველოს ისტორიიდან და კონფლიქტებიდან გამომდინარე, ეს გამძაფრებულად და საფრთხედ აღიქმება.

„იმიგრანტი უნდა იქცეოდეს ისე, როგორც სტუმარი, თავშეკავებულად და პატივისცემით, რადგან ისინი მასპინძელ ქვეყანაში ერთგვარი სტუმრები არიან. რუსები თავიანთი ბუნებით თავხედები არიან; ქართულში მიღებული მიმართვა არის „ბატონო, ქალბატონო“, ხოლო რუსები ერთმანეთს ასე მიმართავენ - „ქალო და კაცო.“

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მასში ბრაზსა და აგრესიას იწვევს ის ფაქტი, რომ სათანადოდ მკაცრად არ კონტროლდება იმიგრანტების შემოსვლა საქართველოში, განსაკუთრებით კი 2022 წლის თებერვლის შემდეგ. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ არსებობს რუსეთის მხრიდან ჯაშუშობის ან სანქციების თავიდან არიდების შიში, რაც ქვეყნის რეპუტაციას დააზიანებს და მოსახლეობას შეუქმნის პრობლემებს.

გამოკითხულებს ასევე ეშინიათ, რუსეთმა არ გამოიყენოს „დაცვის პასუხისმგებლობის“ დოქტრინიდან გამომდინარე (არალეგიტიმური) ძალა, რასაც ის ხშირად იყენებს (თუნდაც უკრაინის მაგალითზე) და არსებობს ამის პრეცედენტი და ეთნიკურად რუსების „დასაცავად“ არ წარმოიშვას კიდევ ერთი ან გაღვივდეს უკვე არსებული კონფლიქტი.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საზოგადოების ცალკეულ წევრებს ეშინიათ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ქართველებს მოუწევთ იმიგრანტების მომსახურება და კონკურენციას ვერ გაუწევენ უცხოელებს.

„მეშინია, რომ მარტო მოსამსახურეებად არ მოგვიწიოს დადგომა ქართელებს და გამოვიდეს ისე, რომ ყველა იყოს ჩენი უფროსი, როგორც იყო იმპერიის დროს. ფასები კიდევ უფრო გაიზარდოს და ანაზღაურებაც არ იყოს საკმარისი...“

სიღრმისეული ინტერვიუს დროს, 27 წლის რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისთვის უსიამოვნოა, რომ საქართველოში ეკონომიკა ძლიერდება მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ იმიგრანტებს (კერძოდ კი რუსებს, ბელარუსებს და უკრაინელებს) ქართველები უწევენ მომსახურებას. ერთ-ერთ საფრთხედ რესპონდენტმა დაასახელა *ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე.*

ასევე აღინიშნა, რომ როდესაც სუსტს ძალას ან ქვეყანას უჩნდება აგრესია და გაღიზიანება ძლიერის მიმართ, უმეტეს შემთხვევაში გამართლებული და ვალიდურია.

„რუსები არიან ჩვენზე მაღლა და ჩენ ვართ მათზე დაბლა. ისინი კი ამას თავის სასარგებლოდ იყენებენ და „გრუზინებს“ დასცინიან. თითქოს ჩვენ უნდა ვემსახუროთ, რუსულად უნდა ველაპარაკოთ და თუ რამეს უხეშად ვეტყვი, რამეს დამიშავებენ“.

კონკურენციის საფრთხე

ერთ-ერთმა 27 წლის რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იმიგრანტები საქართველოში (კერძოდ კი რუსები, ბელარუსები და უკრაინელები) ხელს უწყობენ სტრატიფიკაციასა[2] და პოლარიზაციას საზოგადოებაში. შედეგად, მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებას შეიძლება გაუჩნდეს აგრესიისა და უსამართლობის განცდა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტი. რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისში სახეზეა ჯენტრიფიკაცია,[3] რაც გულისხმობს ურბანული სივრცის ტრანსფორმაციას და ამ სივრცეებში უფრო შეძლებული მოსახლეობის გადმოსახლებას; თბილისში შედარებით დაბალი სოციო-ეკონომიკური ფენის მოსახლეობა ვერ უწევს კონკურენციას ჩამოსულ იმიგრანტებს. რუსები, ბელარუსები და უკრაინელები სახლდებიან თბილისის პრესტიჟულ უბნებში და ხსნიან საკუთარ ბიზნესებს, სადაც ძირითადად საკუთარი ეროვნების ადამიანებს ასაქმებენ. შედეგად ვიღებთ ჯგუფებს, რომლებიც ერთად არიან და ბევრნი არიან.

რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამ სიტუაციაში ერთ-ერთ გამოსავლად მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეებმა არ მიჰყიდონ უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები რუსებს, რაც გრძელვადიანად საქართველოში მათ დაფუძნებას შეუშლის ხელს: *„მოსახლეობაში ჩნდება ახალი ფენა; ისინი იძენენ უძრავ ქონებას დიდი რაოდენობით. ჩემი თაობის ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი ანაზღაურება და ვერ ყიდულობენ ბინებს. ჩვენ ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ რომ სესხი დაგვიმტკიცდეს და ბინის ყიდვის შანსიც კი გვქონდეს, იმიგრანტებს კი - კერძოდ რუსებს - ეს ძალიან მარტივად გამოსდით და არ მგონია ეს ყველაფერი სამართლიანი, არაა ჯანსაღი კონკურენცია. გრძელვადიანად აუცილებლად გაჩნდებიან ამ ჯგუფის მოწინააღმდეგეები და მომხრეები.“*

[2] სოციალური სტრატიფიკაცია გულისხმობს საზოგადოების კატეგორიზაციას შემოსავლის, საკუთრების, განათლების, ძალაუფლების, ოჯახური წარმომავლობის მიხედვით. სტრატიფიკაციის საფუძველი ასევე შეიძლება იყოს ასაკი, ეთნიკური ნიშნანი და სქესი (Tamang, Holmes, & Connelly, 2021).

[3] ჯენტრიფიკაცია არის ურბანული სივრცის არათანაბარი სოციალური ტრანსფორმაცია, რაც მოიცავს კონკრეტულ უბნებში დაბალშემოსავლიან მაცხოვრებელთა ჩანაცვლებას უფრო მაღალშემოსავლიანი ადამიანებით. ჯენტრიფიკაცია, დადებით შედეგენთან ერთად, შეიძლება იწვევდეს მნიშვნელოვან პრობლემებს გადაადგილებასა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (Atkinson, 2012).

რესპონდენტების აზრით, გრძელვადიანად არსებობს იმის საფრთხე, რომ **საქართველოს მოქალაქეებმა ვეღარ შეძლონ კონკურენციის გაწევა** და გაჩნდეს პროვოკაციები, მოხდეს კონფლიქტის ესკალაცია და ამ ყველფერმა მიიღოს ძალადობრივი სახე (ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ესკალაციის შიში წარსულში კონკრეტულ ჯგუფთან კონფლიქტური ეპიზოდების გამოც ჩნდება):

„აქაური ხალხი ისედაც უმუშევარია და ისედაც გაჭირვებაშია, კიდე სხვისი მომატება გვინდა?!“

თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა რეალური სურათი სხვანაირი იყოს და სინამდვილეში არ არსებობდეს კონკურენციის გაწევისა თუ ასიმილაციის საფრთხე, შესაძლოა ამ ნარატივებით მანიპულირება და პოლარიზაციის გაღრმავება.

კონტაქტი და ურთიერთობები იმიგრანტებთან

გამოკითხულთა 60.5%-ს აქვს და ჰქონია პირისპირი კონტაქტი იმიგრანტებთან (მაგ., სამსახურში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამეზობლოში, სამეგობრო წრეში, ოჯახში), მაშინ, როცა 39.5%-ს არ აქვს კონტაქტი იმიგრანტებთან. რაც შეეხება ამ კონტაქტის სიხშირეს - ძირითადად კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ. ის ადამიანები, რომლებსაც კონტაქტი აქვთ და ჰქონიათ იმიგრანტებთან, უფრო დადებითად აფასებენ ამ კონტაქტის შედეგად მათ პირად გამოცდილებას. მხოლოდ მცირე ნაწილი (14%) აფასებს ამ გამოცდილებას უფრო უარყოფითად.

რაც შეეხება ახლო ურთიერთობებს და მეგობრულ კავშირებს იმიგრანტებთან, გამოკითხულთა უმეტესობა - 71.3% - აღნიშავს რომ არ ჰყავთ იმიგრანტი მეგობრები და ახლობლები.

იმ ადამიანების 89.7%, რომლებასც აქვთ და ჰქონიათ პირისპირი კონტაქტი იმიგრანტებთან, თვლის, რომ იმიგრანტებს კარგი პროფესიული უნარები აქვთ (კორელაციის კოეფიციენტი 0,456).

იმიგრანტების გავლენის აღქმა, შეფასება და დამოკიდებულებები

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, იმიგრანტები წარმოადგენენ სამუშაო ძალის შემადგენელ დიდ ნაწილს. თუმცა, საქართელოში შემოსული იმიგრანტები, უმეტესად, სამუშაოდ არ ჩამოდიან. ხშირ შემთხვევაში ისინი დისტანციურად მუშაობენ ან საკუთარ ბიზნეს საქმიანობას ეწევიან.

ჩემ მიერ გამოკითხულთა უმრალესობა - 63.1% - აღნიშნავს, რომ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, აქვთ თუ არა იმიგრანტებს კარგი პროფესიული უნარები. 36.9 % კი თვლის, რომ მათ კარგი პროფესიული უნარები აქვთ.

ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია იმიგრანტების პროფესიულ უნარებთან დაკავშირებით, თვლიან, რომ იმიგრანტების შემოსვლა საქართველოში წარმოადგენს პრობლემას (კორელაციის კოეფიციენტი 0.270).

რესპონდენტების დიდი ნაწილი (44.1%) თვლის, რომ იმიგრანტებს ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ. 16.2%-ს მიაჩნია, რომ იმიგრანტები ამდიდრებენ კულტურას ქვეყანაში. 13.4% ფიქრობს, რომ იმიგრანტები ართმევენ სამუშაო ადგილებს საქართველოს მოქალაქეებს. 12.1% თვლის, რომ ქვეყნის ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ (იხ. ცხრილი 15).

ამავე მონაცემების ასაკობრივ ჯგუფთან დამოკიდებულება (კროსტაბულაცია) გვიჩენებს, რომ შედარებით ასაკოვანი ადამიანები იმიგრანტების მიერ მოტანილ ეკონომიკურ სარგებელს უფრო მეტად აღიქვამენ, ვიდრე ახალგაზრდები, მაშინ როცა ახალგაზრდები მეტად მიიჩნევენ, რომ იმიგრანტები ამდიდრებენ კულტურას ქვეყანაში, ვიდრე 36 წელს გადაცილებული ადამიანები (იხ. ცხრილი 16).

რესპონდენტების ის ნაწილი, რომელსაც მიაჩნია, რომ იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, ასევე თვლის, რომ იმიგრანტების შემოსვლა უფრო მეტ შესაძლებლობას წარმოადგენს საქართველოსთვის (კორელაციის კოეფიციენტი 0.371). ინტერვიუს ჩატარების დროს, ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც 56+ ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნებოდა, აღნიშნა შემდეგი:

„ქართულ კულტურას არ სჭირდება გამდიდრება, ის საკმარისად მდიდარია, იმიგრანტებმა და ყველა ადამიანმა, რომელიც შემოდის ჩვენს ქვეყანაში, თუნდაც ტურისტმა, ეს კარგად უნდა იცოდეს, ხედავდეს ამას და პატივს სცემდეს ჩვენს კულტურას.“

რაც შეეხება გავლენას ეკონომიკაზე, უმეტესობას მიაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე. მხოლოდ 8.3%-ს მიაჩნია, რომ იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას არ ახდენენ ეკონომიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობას მიაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ცალკეულად, რესპონდენტები ყოველდღიურ ცხოვრებაში უარყოფითად აღიქვამენ იმიგრანტების გავლენას ეკონომიკაზე.

„მიუხედავად იმისა, რომ ლარი გამყარდა, ჩვენ ამას ვერ აღვიქვამთ, ფასები იზრდება, საუკეთესო პროდუქტს ყიდულობენ იმიგრანტები, საკუკეთესო ბინებს ქირაობენ და შედეგად, მოთხოვნასთან ერთად ფასებიც იზრდება...“

როგორც ჩემ მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ თბილისში მაცხოვრებლებს განსაკუთრებით აწუხებთ იმიგრანტების (კერძოდ კი რუსების, ბელარუსებისა და უკრაინელების) მიერ გახსნილი ბიზნესები, სადაც არ და ვერ ასაქმებენ ქართველებს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პრიორიტეტი სახელმწიფოსა და ხალხის მიერ უნდა ენიჭებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის ბიზნესებს და მათ ხელშეწყობას. იმიგრანტებს მეტი ბარიერები უნდა ექმნებოდეთ და მარტივად ვერ უნდა ყიდულობდნენ

უძრავ ქონებას და ვერ უნდა ხსნიდნენ ბიზნესებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ბიზნესი უნდა ფუნქციონირებდეს ქართულ ენაზე. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ 2022 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ვითარება საქართველოში არსებულ მაღაზიებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში შეცვლილია და ხშირად მომხმარებლებს პირველად რუსულად უწყებენ საუბარს. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რუსული ენის დომინირებას არ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს მოსახლეობამ, რათა არ მოხდეს ძველი შეცდომების გამეორება. შესაბამისად, რესპონდენტებისთვის გამართლებულია და მისაღებია, როდესაც ქართველი ადამიანი რუსს რუსულ ენაზე არ ელაპარაკება.



ცხრილი 1 **საქართველოში იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებული დამოკიდებულება (%,N=157)**

კვლევამ აჩვენა, რომ 57.3%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს იმიგრანტების შემოსლასთან დაკავშირებით, ხოლო 25.5%-ს უარყოფითი. მხოლოდ 17.2%-ს აქვს დადებითი დამოკიდებულება იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით. მათ, ვისაც დადებითი დამოკიდებულება აქვთ, აღნიშნეს, რომ იმიგრანტების წვლილი ეკონომიკის განვითარებაში (38.1%) და ინფორმირებულობა იმიგრანტების შესახებ (31%) გავლენას ახდენს ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. ასევე აღსანიშავია, რომ კვლევის

მიხედვით, პირისპირი კონტაქტის ქონა გავლენას ახდენს დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

რაც შეეხება იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას, 75.7%-მა აღნიშნა, რომ არ არის იმიგრანტეის შემოსვლის წინააღმდეგი; მხოლოდ გამოკითხულთა 24.3% არის იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგი საქართველოში. ამ წინააღმდეგობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს *კონფლიტის გაღვივების შიში* (იხ. ცხრილი 21). ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადამიანებს აქვთ შიში, რომ იმიგრანტების შემოსვლის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი, რასაც საფუძვლად შეიძლება ჰქონდეს არაჯანსაღი კონკურენცია, რომელასც პოტენციურად გამოიწვევენ იმიგრანტები, ეს საფრთხე ასევე იქმენა დღის წესრიგში იმ შემთხვევაშიც თუ იმიგრანტების მხრიდან დომინირებას (ეკონომიკური, სოციალური) ექნება ადგილი და საქართველოს მოსახლეობა უმცირესობაში იქნება.

რა არის იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგობის მიზეზი?	
	პროცენტი
რელიგია	3.1%
მიგრანტების წარმომავლობა	23.1%
რასა	3.1%
სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში	12.3%
კონფლიქტის გაღვივების შიში	38.5%
კრიმინალის გაზრდა	16.9%
ენის ბარიერი	3.1%
სულ	100.0%

ცხრილი 2 **წინააღმდეგობის მიზეზები**

რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ *იმიგრანტების წარმომავლობაც* გავლენას ახდენს ამ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე, *კრიმინალის გაზრდის შიშთან* ერთად, რადგან ახლო აღმოსავლეთიდან შემოსულ იმიგრანტებს, ქვეცნობიერად მაინც აკავშირებენ ტერორისტულ აქტებთან ევროპაში. აღსანიშნავია, რომ რელიგია და რასა ნაკლებად ახდენს გავლენას რესპონდენტებზე და მათ წინააღმდეგობრივ ადმოკიდებულებაზე.

იმ რესპონდენტების დიდი ნაწილი, რომელთაც ჰქონიათ იმიგრანტებთან პირისპირი კონტაქტი და ამ გამოცდილებას უარყოფითად აფასებენ, იმიგრანტების შემოსვლის

წინააღმდეგები არიან. მაშინ, როცა იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებიც პირისპირი კონტაქტის გამოცდილებას დადებითად აფასებენ, არ არიან იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგები (კორელაციის კოეფიციენტი 0.502).

რაც შეეხება დიფერენცირებულ აღქმას, შეკითხვაზე - უქმნით თუ არა რომელიმე კონკრეტული ეროვნების იმიგრანტი დისკომფორტს რესპონდენტებს - 45.9%-მა (118-მა ადამიანმა) აღნიშნა, რომ რუსები უქმნიან დისკომფორტს. 16.7%-ს ბელარუსები, 8.2%ს თურქები და 7.4%-ს ინდოელები უქმნიან დისკომფორტს. 36 რესპონდენტი (14%) აღნიშნავს, რომ მათ კონკრეტული ეროვნების ადამიანები არ უქმნიან დისკომფორტს (იხ. ცხრილი 17).

ამავე საკითხთან დაკავშრებით, აღსანიშავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტებს უფრო მეტად უქმნიან დისკომფორტს რუსები და ბელარუსები, ვიდრე მამდრობითი სქესის რესპონდენტებს, თუმცა მამაკაცებსაც უქმნიან დისკომფორტს რუსები და ბელარუსები (იხ. ცხრილი 18).

ხოლო რაც შეეხება კეთილგანწყობას კონკრეტული ეროვნების იმიგრანტების მიმართ - 41.4% კეთილგანწყობილია უკრაინელების მიმართ, 16.1% - ინდოელების მიმართ, 13.3% - სირიელების მიმართ. რუსების მიმართ მხოლოდ 3.2% არის კეთილგანწყობილი. ხოლო 18.5% არცერთი ეროვნების მიმართ არაა კეთილგანწყობილი.

დადებითი დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია იმიგრანტების წილი ეკონომიკაში და ინფორმირებულობა იმიგრანტების შესახებ. რესპონდენტების 38.1% აღნიშნავს, რომ იმიგრანტების მიმართ დადებით დამოკიდებულებას იწვევს მათივე წვლილი ეკონომიკაში, ხოლო 31% აღნიშავს, რომ მათ შესახებ ინფორმირებულობა ხელს უწყობს დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ასევე მნიშვნელოვანია პირისპირი კონტაქტიც რესპონდენტების 19%-სთვის. რაც შეეხება სირთულეებს წარმოშობის ქვეყანაში და კულტურულ მსგავსებას, გამოკითხულთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ფაქტორები განაპირობებენ დადებით დამოკიდებულების ჩამოყალიბებას (იხ. ცხრილი 20).

ინდოელების მიმართ კეთილგანწყობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან სასწავლებლად და ინფორმაციის მისაღებად. თუმცა მათი თავმოყრა

კონკრეტულ უბნებში (საბურთალოზე) გრძელვადიანად შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს კულტურულად, რადგან ბუნდოვანია, როგორ განვითარდება მოვლენები (ბრუნდებიან თუ არა ინდოეთში, მოხდება თუ არა ასიმილაცია გრძელვადიანად, იქნება თუ არა კონკურენცია სამედიცინო სფეროში).

ინტერვიუების შედეგად იკვეთება პოზიტიური დამოკიდებულება და მიმღებლობა იმ შემთხვევაში, თუ იმიგრანტებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არსებული მდგომარეობის გამო (მაგ., უკრაინელების შემთხვევაში). ამ დადებით დამოკიდებულებას მათი მეტნაკლებად გაკონტროლებული რიცხოვნობაც განაპირობებს. ასევე ის ფაქტი, რომ უკრაინელ იმიგრანტებს არ აქვთ იმპერიალისტური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ისტორიულად ორივე ერს (უკრაინელებს და ქართველებს) უწევდათ მსგავსი პრობლემების წინაშე ყოფნა.

„ისინი იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი ქვეყანა, გაქცევაზე არიან, ამიტომ მაქსიმალურად კომფორტულად უნდა იგრძნონ თავი“.

თუმცა, ის იმიგრანტები, რომლებიც საკუთარ მდგომარეობაზე პასუხისმგებელნი თავად არიან (მაგ., რუსების შემთხვევაში), უფრო მეტი თავშეკავება და პატივისცემა მოეთხოვებათ:

„თვითონ გადაწყვიტეს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, ამიტომაც უნდა მოერგონ ჩვენს კულტურას და პატივი სცენ მას“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იმიგრანტების მხრიდან მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის იდეისა და ღირებულებების (ტერიტორიული მთლიანობის იდეის) დაცვა და პატივისცემა. გარდა ამისა, იმიგრანტების მიმართ დადებით დამოკიდებულების გაჩენისთვის, მნიშნელოვანია ადგილობრივი ენის შესწავლა, ქართული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (ან საკუთარ ბიზნესში ქართველების დასაქმება) და კანონმორჩილი მოქალქეობა.

ინფორმირებულობა

გამოკითხულთა 65.6% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამავე საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ იმიგრანტები ან ნეიტრალურად (52.9%) ან უარყოფითად (40.8%) არიან წარმოჩენილი მედიაში.

დასკვნა

ნაშრომის კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეების განწყობებისა და დამოკიდებულებების დადგენა საქართველოში იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით და შეიძლება თუ არა ეს დამოკიდებულებები წარმოადგენდეს კონფლიქტის მაპროვოცირებელ ფაქტორებს.

კვლევის პროცესში გამოაშკარავდა, რომ საქართველოს მოსახლეობას უფრო ნეიტრალური ადმოკიდებულება აქვს იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოჩნდა, რომ იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია იმიგრანტების წარმომავლობა. ასევე მნიშნელოვანია მასპინძელი ქვეყნის [საქართველოს] ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის და ასევე ისტორიული ფონის გათვალისწინება.

ინტეგრირებული საფრთხის თეორიის მიხედვით, რეალისტურია საფრთხე, რომელიც ეხება ეკონომიკური და უსაფრთოხების განზომილებებს; საქართველოში კონკრეტული ეროვნების იმიგრანტების მიმართ ნეგატიური განწყობა ძირითადად გამოწვეულია ზემოხსენებული ფაქტორებიდან: საქართველოს მოქალაქეები იმიგრანტებს აღიქვამენ ეკონომიკურ საფრთხედ (მათ შორის კონკურენციის საფრთხედ), ისევე როგორც საფრთხედ ფიზიკური უსაფრთხოებისთვის.

ფიზიკური უსაფრთხოების ნაწილში, საზოგადოებას ეშინია, რომ რუსი იმიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად საქართველოში, გაიზრდება რუსეთის

მხრიადნ „დაცვის პასუხისმგებლობის“ დოქტრინის არალეგიტიმური გამოყენების საფრთხე.

ადგილობრივ დონეზე, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს დისკომფორტს უქმნის ფასების ცვლილება, კონკურენცია, ჯენტრიფიკაცია და მიაჩნიათ, რომ ეს მათ [მოსახლეობას] აზარალებს.

უსაფრთხოების განზომილებაში, კონკრეტული ეროვნების, კერძოდ კი რუსი იმიგრანტების მიმართ, არსებობს შიში და უნდობლობა წარსული გამოცდილებებიდან და ისტორიული პრეცედენტიდან გამომდინარე.

საქართველოში, იმიგრანტებს აღიქვამენ სიმბოლური საფრთხედაც, რაც გულისხმობს საფრხეს მათი იდენტობის, კულტურის და ღირებულებებისთვის. საქართველოში იმიგრანტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ნაწილობრივ გამოწვეულია საზოგადოების კულტურული ჰომოგენურობის დარღვევის საფრთხის გამო, რადგან დღესდღეობით, საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები, საქართველოს მოსახლეობის აღქმით, პატივს არ სცემენ ადგილობრივ კულტურას და არსებობს ასიმილაციის საფრთხე იმიგრანტების რაოდენობის (და შემოდინების) გამო. საზოგადოებასში არსებობს იმის შიში, რომ დაირღვევა კულტურული ბალანსი, რადგან იმიგრანტები მასპინძელი ქვეყნის კულტურას მარტივად არ იღებენ და არსებობს კულუტურული უპირატესობისთვის კონკურენციისა და დაპირისპირების საფრთხე.

თუმცა, საგულისხმოა, რომ საქართველოში ნებისმიერი იმიგრანტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და მათ შემოსვლასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები და უკმაყოფილება ძირითადად გამომდინარეობს პოლიტიკური ხასიათის და არა ნაციონალისტური ან რასისტული პრობლემებიდან.

უარყოფითი განწყობების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი არის პოლიტიკა და იმიგრანტების დამოკიდებულება. რუსი იმიგრანტების (და ასევე ტურისტების) მიმართ არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება და სტერეოტიპები, რადგან ისინი აღიქმებიან „მტრებად“ და მათი მხრიდან იგრძნობა იმპერიალისტური დამოკიდებულება.

იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, იმიგრანტი პატივისცემით ეპყრობა ადგილობრივ კულტურას და ბიზნესს ქართველების ჩართულობით და დახმარებით აწარმოებს, უარყოფითი დამოკიდებულება თითქმის სრულიად ქრება, ხოლო თუ რიგი სოციალური ან ეკონომიკური პროცესები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გარეშე ხდება, ეს ქმნის პრობლემას, რადგან ჩნდება შიში („ჯგუფური საფრთხის თეორია"); როდესაც გარე ჯგუფი შემოდის ქვეყანაში, შიდა ჯგუფი მას აღიქვამს, როგორც „საფრთხეს" მათი რესურსებისთვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში კონფლიქტის გაღვივება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ გრძელვადიანად მოხდება დიდი რაოდენობით იმიგრანტების (განსაკუთრებით კი რუსების) შემოდინება, რაც ხელს შეუშლის მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. კონფლიქტის გაღვივებას შეიძლება ხელი შეუწყოს პროვოკაციებმა და თვით იმიგრანტების დამოკიდებულებამ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). *საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი.* თბილისი.
2. "საზოგადოება და ბანკები" და ილიაუნის "ფინანსური განათლების ცენტრი". (2019). *ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.* Retrieved from http://sab.ge/sites/default/files/adamianuri_kapitalis_roli_kveqnis_ekonomikis_ganvitarebashi.pdf
3. Ashby, H. (2022, Apr 7). *How the Kremlin Distorts the 'Responsibility to Protect' Principle*. Retrieved from United States Institute of Peace: https://www.usip.org/publications/2022/04/how-kremlin-distorts-responsibility-protect-principle
4. Atkinson, R. (2012). International Encyclopedia of Housing and Home. Elsevier.
5. Augoustinos, M., & Quinn, C. (2003). Social Categorization and Attitudinal Evaluations: Illegal Immigrants, Refugees or Asylum Seekers? *New Review of Social Psychology*, *2*(1), 29–37.
6. Babi Moses, L. A. (2017). Causes and consequences of rural-urban migration: The case of Juba Metropolitan, Republic of South Sudan. *7 IOP Conf. Ser.: Earth Environ. Sci. 81 012130.* IOP Publishing Ltd.
7. Bansak, K., Hainmueller, J., & Hangartner, D. (2016, Sep). How economic, humanitarian, and religious concerns shape European attitudes toward asylum seekers. *Science*, 217-222.
8. Blom, S. (2010). *Attitudes towards immigrants and immigration.* Statistics Norway. Retrieved from https://www.ssb.no/a/english/publikasjoner/pdf/sa122/attitudes.pdf

9. Blumer, H. (1958). Race Prejudice as a Sense of Group Position. *1*, 3-7.
10. Britannica, T. Editors of Encyclopaedia. (2023). *Imperialism.* Encyclopedia Britannica.
11. Brown, R. (1995). *Prejudice, It's Social Psychology.* Oxford: Blackwell.
12. Ceobanu, A. M., & Escandell, X. (2010). Comparative Analyses of Public Attitudes Toward Immigrants and Immigration Using Multinational Survey Data: A Review of Theories and Research. *Annual Review of Sociology, 36*(1), 309-328.
13. Croucher, S. M. (2017, Jul 27). Integrated Threat Theory.
14. Fawzi, S. (2022, November). The Impact of Ethnic Groups on National Security. *Future Journal of Social Science, 1*(2).
15. Global Centre for the Responsibility to Protect. (2008, Aug 19). *The Georgia-Russia Crisis and the Responsibility to Protect*. Retrieved from https://www.globalr2p.org/wp-content/uploads/2021/07/the-georgia-russia-crisis-and-the-r2p-background-note.pdf
16. Gorodzeisky, A., & Semyonov, M. (2009). Terms of exclusion: Public views towards admission and allocation of rights to immigrants in european countries. *Ethnic and Racial Studies, 32*(2), 401-423.
17. Gorodzeisky, A., & Semyonov, M. (2016). Not only Competitive Threat but also Racial Prejudice: Sources of Anti-Immigrant Attitudes in European Societies. *International Journal of Public Opinion Research, 28*(3), 331–354.
18. Guenichi, H. C. (n.d.).
19. Guenichi, H., Chouaibi, N., & Khalfaoui, H. (2022). Contagion effect of migration fear in pre and European refugee's crisis period: evidence from multivariate GARCH and wavelet empirical analysis. *10*(1), 1 – 20.
20. Gutiérrez, N. (2009). Transnational Migration, Conflict, And Divergent Ideologies Of Progress. *Urban Anthropology and Studies of Cultural Systems and World Economic Development, 38*(2/3/4), 269-302.
21. Haerpfer, C., Inglehart, R., Moreno, A., Welzel, C., Kizilova, K., J., D.-M., . . . Puranen, E. P. (2022). *World Values Survey: Round Seven - Country-Pooled Datafile Version 5.0.* Madrid & Vienna: JD Systems Institute & WVSA Secretariat.
22. Hellwig, T., & Sinno, A. (2017). Different groups, different threats: public attitudes towards immigrants. *Journal of Ethnic and Migration Studies, 43*(3), 339-358.
23. IFOP. (2017). *Enquête sur le complotisme* . la Fondation Jean-Jaurès et Conspiracy Watch. Institut français d'opinion publique.
24. IOM. (2015). *How the world views migration.* Geneva: International Organization for Migration. Retrieved from https://publications.iom.int/system/files/pdf/how_the_world_gallup.pdf
25. IOM Georgia. (2021). *Perceptions of the Integration Process, Challenges, and Needs of Foreign Migrants Residing in Georgia.*
26. IOM Georgia. (2021). *იმიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი.
27. James, D., & Geddes, A. (2021). Thinking globally about attitudes to immigration : concerns about social conflict, economic competition and cultural threat. *The political quarterly, Vol. 92*(No. 3), pp. 542-551.
28. Kolstø, P., & Blakkisrud, H. (2016). *The New Russian Nationalism: Imperialism, Ethnicity and Authoritarianism 2000–2015.* Edinburgh: Edinburgh University Press.
29. Lahav, G., & Courtemanche, M. (2012). The ideological effects of framing threat on immigration and civil liberties. *34*(3), 1-29.

30. Lake, D., & Rothchild, D. (1996). Containing Fear: The Origins and Management of Ethnic Conflict. *International Security, 21*(2), 41-75.
31. Novaya Gazeta Europe. (2022, Sep 26). *Sources: FSB reports 260,000 men left Russia, wants to close borders*. Retrieved from https://novayagazeta.eu/articles/2022/09/26/sources-fsb-reports-260000-men-left-russia-wants-to-close-borders-news
32. OCHA. (2023). *Ukraine Humanitarian Response 2023 - Situation Report.* United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs. Retrieved from https://reports.unocha.org/en/country/ukraine/
33. Paxton, P., & Mughan, A. (2006). What's to Fear from Immigrants? Creating an Assimilationist Threat Scale. *Political Psychology, 27*(4), 549–568.
34. Quinn, E. (2016). The Refugee and Migrant Crisis: Europe's Challenge. *An Irish Quarterly Review, 105(419).*, 275–285.
35. Reuters. (2022, Ocr 6). *Factbox: Where have Russians been fleeing to since mobilisation began?* Retrieved from https://www.reuters.com/world/europe/where-have-russians-been-fleeing-since-mobilisation-began-2022-10-06/
36. Reuters. (2023, Feb 17). *A year into the war, Russians in Georgia are viewed with suspicion*. Retrieved from https://www.reuters.com/world/europe/year-into-war-russians-georgia-are-viewed-with-suspicion-2023-02-16/
37. Schlueter, E., & Scheepers, P. (2010). he relationship between outgroup size and anti-outgroup attitudes: A theoretical synthesis and empirical test of group threat-and intergroup contact theory. *Social Science Research, 39*(2), 285-295.
38. Selod, H., & Shilpi, F. (2021, May). Rural-Urban Migration in Developing Countries: Lessons from the Literature. *Policy Research Working Paper; No. 9662*.
39. Simon, B., & Grabow, O. (2010, Oct). The Politicization of Migrants: Further Evidence that Politicized Collective Identity is a Dual Identity. *Political Psychology, 31*(5), 717-738.
40. Stephan, W. G.-K. (1998). Prejudice Toward Immigrants to Spain and Israel: An Integrated Threat Theory Analysis'. *Journal of Cross-Cultural Psychology, 29*(4), 559-576.
41. Tamang, A., Holmes, K., & Connelly, R. (2021). Introduction to Sociology 3e - What Is Social Stratification? OpenStax, Rice University.
42. The Economist. (2021, Oct 30). *Many more Africans are migrating within Africa than to Europe*. Retrieved from https://www.economist.com/briefing/2021/10/30/many-more-africans-are-migrating-within-africa-than-to-europe
43. UNHCR. (2022). *Mid-Year Trends 2022.* Retrieved from https://www.unhcr.org/us/about-unhcr/who-we-are/figures-glance#:~:text=103%20million%20forcibly%20displaced%20people,103%20million%20at%20mid%2D2022.
44. UNHCR Cyprus. (2021, Mar 18). *Syria Refugee Crisis – Globally, in Europe and in Cyprus*. Retrieved from https://www.unhcr.org/cy/2021/03/18/syria-refugee-crisis-globally-in-europe-and-in-cyprus-meet-some-syrian-refugees-in-cyprus/#:~:text=European%20countries%20host
45. Vala, J., Pereira, C., & Ramos, A. (2006, Jan). Racial prejudice, threat perception and opposition to immigration: A comparative analysis. *Portuguese Journal of Social Science, 5*(2), 119-140.
46. Verkuyten, M., Mepham, K., & Kros, M. (2018). Public attitudes towards support for migrants: The importance of perceived voluntary and involuntary migration. *Ethnic and Racial Studies, 41*(5), 901–918.
47. Weiner, B. (1995). *Judgements of Responsibility: A Foundation for a Theory of Social Conduct.* New York: The Guilford Press.

48. World Vision Georgia. (2022). *Ukrainian refugees in Georgia profile, intentions and needs.* Tbilisi, Georgia: UNHCR & World Vision Georgia.
49. ბერიძე, რ. (2009). კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში (ასაკობრივსა და გენდერულში). *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*
50. ევროპის განათლების ფონდი. (2021). *უნარები და მიგრაცია საქართველოში: მოკლე ანგარიში.* ევროპის განათლების ფონდი (ETF).
51. ვაგნერი ვ., ტ. რ. (2017). *მიგრაციის სახელმძღვანელი.* თბილისი: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი.
52. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2018). *დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და შემოსავლების მიხედვით.* Retrieved from https://idfi.ge/public/upload/pdf/IDPs_Final_Geo.pdf
53. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. (2021). *იმიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) & ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.
54. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2017). *უცხოელი სტუდენტების შესახებ საქართველოში მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი.* თბილისი.
55. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2020). *საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია.* თბილისი: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.
56. ოხანაშვილი, ნ. (2018 წლის 27 ივლისი). ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა). *თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი.* მოპოვებული press.tsu.ge: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.%20%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf-დან
57. საზოგადოება და ბანკები. (2015). *საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რეგიონის ქვეყნებზე.* Retrieved from http://sab.ge/sites/default/files/sakartvelos_ekonomikis_damokidebuleba_regionis_kveqnebze_0.pdf
58. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *ქალი და კაცი საქართველოში - სტატისტიკური პუბლიკაცია.* თბილისი.
59. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). *მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.*
60. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). *საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.* თბილისი.
61. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. (2021). *რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულებები.* თბილისი. Retrieved from https://gfsis.org.ge/files/library/pdf/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%

62. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2022). *მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც 01.01.2022-დან 30.09.2022-ის ჩათვლით შემოვიდნენ და 03.10.2022 დღის მდგომარეობით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე.* თბილისი. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/19959
63. ტუშური, რ. (2021). *როგორ გავაშუქოთ მიგრაცია და მიგრანტები?* თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი.
64. ჩიჩუა, ნ. (2019, თებ 1). *დეპორტაცია ეთნიკური ნიშნით და არადამიანური პირობებით – 2006 წლის შემოდგომის მოვლენები.* Retrieved from ნეტგაზეთი: https://netgazeti.ge/news/337721/

დანართი

კითხვარი

1. თქვენი სქესი: მამაკაცი, ქალი.
2. ასაკობრივი ჯგუფი: 18-25; 26-35; 36-45; 46-55; 56+
3. თქვენი საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, საქართველოს რეგიონები, საზღვარგარეთი.
4. თქვენი მიერ მიღწეული განათლების დონე: საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება, სამეცნიერო ხარისხი.
5. **თქვენი ინფორმაციით, როგორია იმიგრანტების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში?** 5%-მდე; 10%-მდე; 20%-მდე; 20%-ზე მეტი.
   სწორი პასუხი: (≈4.8%)
6. **როგორ ფიქრობთ, იმიგრაცია წარმოადგენს პრობლემას თუ უფრო მეტ შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნისთვის?**
7. **გაქვთ თუ არა კონტაქტი საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან, მაგალითად, სამსახურში, უნივერსტეტში, სამეზობლოში, სამეგობრო წრეში, ოჯახში და ა.შ.?**
8. **საშუალოდ, რამდენად ხშირად ურთიერთობთ იმიგრანტებთან (სამსახურში, უნივერსტეტში/სკოლაში, სამეზობლოში, მაღაზიაში, ქუჩაში)**?
   [კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ, წელიწადში ერთხელ, არასდროს]
9. თუ კვირაში ერთხელ, ან თვეში ერთხელ: **როგორია ამ კონტაქტის შედეგად თქვენი პირადი გამოცდილება?** [უფრო დადებითი, დადებითი, უფრო უარყოფითი, უარყოფითი]
10. **გყავთ მეგობრები, რომლებიც ამჟამად საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები არიან?**
11. **აქვთ თუ არა მიგრანტებს კარგი პროფესიული უნარები?**
12. **ახდენენ თუ არა საქართველოშ მცხოვრები იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ეკონომიკაზე?** კი; არა; არ მაქვს ინფორმაცია.

13. **ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები:**

- ამდიდრებენ კულტურას ქვეყანაში;
- ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ;
- ქვეყნისთვის ტვირთს წარმოადგენენ;
- კრიმინალურ ვითარებას ამწვავებენ;
- ართმევენ სამუშაო ადგილებს საქართველოს მოქალაქეებს;
- ქვეყნის ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ;

14. **როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე?**

15. **როგორ არიან იმიგრანტები წარმოდგენილები მედიაში?**
დადებითად; ნეიტრალურად; უარყოფითად.

16. **როგორი დამოკიდებულება გაქვთ იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით საქართველოში?** დადებითი; უარყოფითი; ნეიტრალური.

17. თუ დადებითი: **რა განაპირობებს თქვენს დადებით დამოკიდებულებას მიგრანტების მიმართ?** ინფორმირებულობა მათ შესახებ; პირისპირი კონტაქტის ქონა; მათი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში; სირთულეები წარმოშობის ქვეყანაში; კულტურული მსგავსება;

18. თუ უარყოფითი: **ხართ თუ არა საქართველოში იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგი?**

19. თუ კი: **რა არის ამის მიზეზი?** რელიგია; მიგრანტების წარმომავლობა; რასა; სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში; კონფლიქტის გაღვივების შიში; კრიმინალის გაზრდა; ენის ბარიერი;

20. **გიქმნით თუ არა რომელიმე კონკრეტული ეროვნების იმიგრანტი დისკომფორტს:**
უკრაინელი, სირიელი, ინდოელი, რუსი, ბელარუსი, პაკისტანელი...

21. **რომელიმე კონკრეტული ეროვნების იმიგრანტის მიმართ თუ ხართ კეთილგანწყობილი?** სირიელი, უკრაინელი, რუსი, ბელარუსი, ინდოელი...

როგორია იმიგრანტების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში?	
	პროცენტი
5%-მდე	25.5
10%-მდე	38.2
20%-მდე	22.9
20%-ზე მეტი	13.4
სულ	100.0

ცხრილი 3 **საქართველოს მოსახლეობის მიერ იმიგრანტების წილის აღქმა. (%,N=157)**

იმიგრანტების წილის აღქმა მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში * ასაკობრივ ჯგუფთან დამოკიდებულება:						
		ასაკობრივი ჯგუფი:				
		18-25	26-35	36-45	46-55	56+
როგორია იმიგრანტების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში?	**5%-მდე**	20.9%	23.3%		46.2%	45.5%
	10%-მდე	34.9%	38.4%	75.0%	30.8%	45.5%
	20%-მდე	30.2%	22.1%	25.0%	23.1%	
	20%-ზე მეტი	14.0%	16.3%			9.1%
სულ		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

ცხრილი 4 **იმიგრანტების წილის აღქმის დამოკიდებულება ასაკობრივ ჯგუფთან. (%,N=157)**



იმიგრაცია წარმოადგენს პრობლემას თუ უფრო მეტ შესაზლებლობას ჩვენი ქვეყნისთვის?	
	პროცენტი
პრობლემას	43.3
მეტ შესაძლებლობებს საქართველოსთვის	56.7
სულ	100.0

ცხრილი 5 **იმიგრაცია - პრობლემა თუ შესაძლებლობა ქვეყნისთვის? (%,N=157)**

გაქვთ თუ არა კონტაქტი საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან? (მაგალითად, სამსახურში, უნივერსტეტში, სამეზობლოში, სამეგობრო წრეში, ოჯახში და ა.შ.)	
	პროცენტი
დიახ	60.5
არა	39.5
სულ	100.0

ცხრილი 6 **კონტაქტი საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან (%,N=157)**

საშუალოდ, რამდენად ხშირად ურთიერთობთ იმიგრანტებთან (სამსახურში, უნივერსტეტში/სკოლაში, სამეზობლოში, მაღაზიაში, ქუჩაში)?	
	პროცენტი
კვირაში ერთხელ	36.3
თვეში ერთხელ	33.8
წელიწადში ერთხელ	17.2
არასდროს	12.7
სულ	100.0

ცხრილი 7 **საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან კონტაქტის სიხშირე (%,N=157)**

როგორია ამ კონტაქტის შედეგად თქვენი პირადი გამოცდილება?	
	პროცენტი
უფრო დადებითად	35.5
დადებითად	50.0
უფრო უარყოფითად	13.6
უარყოფითად	.9
სულ	100.0

ცხრილი 8 **კონტატის შედეგად პირადი გამოცდილება (%,N=110)**

გყავთ მეგობრები, რომლებიც ამჟამად საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები არიან?	
	პროცენტი
დიახ	28.7
არა	71.3
სულ	100.0

ცხრილი 9 **იმიგრანტი მეგობრები (%,N=157)**

აქვთ თუ არა მიგრანტებს კარგი პროფესიული უნარები?	
	პროცენტი
დიახ	36.9
არ მაქვს ინფორმაცია	63.1
არა	0
სულ	100.0

ცხრილი 10 **იმიგრანტების პროფესიული უნარების აღქმა (%,N=157)**

ახდენენ თუ არა საქართველოში მცხოვრები იმიგრანტები პოზიტიურ გავლენას ეკონომიკაზე?	
	პროცენტი
დიახ	59.2
არა	8.3
არ მაქვს ინფორმაცია	32.5
სულ	100.0

ცხრილი 11 **იმიგრანტების პოზიტიური გავლენა ეკონომიკაზე (%,N=157)**



ცხრილი 12 **როგორ არიან იმიგრანტები წარმოდგენილები მედიაში? (%,N=157)**

რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე?	
	პროცენტი
ინფორმირებული ვარ	9.6
მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ	65.6
არ ვარ ინფორმირებული	24.8
სულ	100.0

ცხრილი 13 **ინფორმირებულობა იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე (%,N=157)**



ცხრილი 14 **საქართველოში იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებული დამოკიდებულება (%,N=157)**

ხართ თუ არა საქართველოში იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგი?	
	პროცენტი
დიახ	24.3 %
არა	75.7 %
სულ	100.0 %

ცხრილი 15 **წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება საქართველოში იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით (%,N=144)**

იმიგრაციის აღქმისა და იმიგრანტებთან კონტაქტის დამოკიდებეულება			
		გაქვთ თუ არა კონტაქტი საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან?	
		დიახ	არა
იმიგრაცია წარმოადგენს პრობლემას თუ მეტ შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნისთვის?	პრობლემას	36.8%	53.2%
	მეტ შესაძლებლობას	63.2%	46.8%
სულ		100.0%	100.0%

ცხრილი 16 იმიგრაციის აღქმისა და იმიგრანტებთან კონტაქტის დამოკიდებეულება

ეთანხმებით თუ არა რომ იმიგრანტები....	პროცენტი
ამდიდრებენ კულტურას ქვეყანაში;	16.2%
ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ;	44.1%
ქვეყნისთვის ტვირთს წარმოადგენენ;	9.3%
კრიმინალურ ვითარებას ამწვავებენ;	4.9%
ართმევენ სამუშაო ადგილებს საქართველოს მოქალაქეებს;	13.4%
ქვეყნის ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ;	12.1%
სულ	100.0%

ცხრილი 17 იმიგრანტების შემოსვლის მიმართ დამოკიდებულებები

იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულება ასაკის მიხედვით	ასაკობრივი ჯგუფი:			
	18-25	**26-35**	**36-45**	**46-55**
ამდიდრებენ კულტურას ქვეყანაში	12.8%	20.6%	0.0%	7.1%
ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ	37.2%	46.3%	50.0%	50.0%
ქვეყნისთვის ტვირთს წარმოადგენენ	11.5%	8.1%	0.0%	7.1%
კრიმინალურ ვითარებას ამწვავებენ	9.0%	2.2%	0.0%	0.0%
ართმევენ სამუშაო ადგილებს საქართველოს მოქალაქეებს	15.4%	11.8%	50.0%	7.1%
ქვეყნის ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ;	14.1%	11.0%	0.0%	28.6%

ცხრილი 18 იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულებები ასაკის მიხედვით

გიქმნით თუ არა რომელიმე კონკრეტული ეროვნების იმიგრანტი დისკომფორტს?	
	პროცენტი
არცერთი	14.0%
უკრაინელი	0.8%
სირიელი	7.0%
რუსი	45.9%
ინდოელი	7.4%
ბელარუსი	16.7%
თურქი	8.2%
სულ	100.0%

ცხრილი 19 **კონკრეტული ეროვნების იმიგრანტების მიმართ დისკოფორტი**

კონკრეტული ეროვნების იმიგრანტი დისკომფორტის დამოკიდებულება სქესან		
	სქესი:	
	მდედრობითი	მამრობითი
არცერთი	13.3%	16.4%
უკრაინელი	0.5%	1.6%
სირიელი	6.6%	8.2%
რუსი	48.0%	39.3%
ინდოელი	7.1%	8.2%
ბელარუსი	17.3%	14.8%
თურქი	7.1%	11.5%

ცხრილი 20 **კონკრეტული ეროვნების მიმართ დისკომფორტის დამოკიდებულება სქესთან**

ხართ თუ არა რომელიმე კონკრეტული ეროვნების იმიგრანტის მიმართ კეთილგანწყობილი?	
	პროცენტი
სირიელი	13.3%
უკრაინელი	41.4%
რუსი	3.2%
ბელარუსი	7.6%
ინდოელი	16.1%
არა	18.5%
სულ	100.0%

ცხრილი 21 **კონკრეტული ეროვნების იმიგრანტების მიმართ კეთილგანწყობა**

რა განაპირობებს თქვენს დადებით დამოკიდებულებას მიგრანტების მიმართ?	პროცენტი
ინფორმირებულობა მათ შესახებ	31.0%
პირისპირი კონტაქტის ქონა	19.0%
მათი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში	38.1%
სირთულეები წარმოშობის ქვეყანაში	4.8%
კულტურული მსგავსება	7.1%
სულ	100.0%

ცხრილი 22 **იმიგრანტების მიმართ დადებითი დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორები**

რა არის იმიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგობის მიზეზი?	
	პროცენტი
რელიგია	3.1%
მიგრანტების წარმომავლობა	23.1%
რასა	3.1%
სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში	12.3%
კონფლიქტის გაღვივების შიში	38.5%
კრიმინალის გაზრდა	16.9%
ენის ბარიერი	3.1%
სულ	100.0%

ცხრილი 23 **წინააღმდეგობის მიზეზები**